საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 20-21 ივლისი. 2022 წ. №97-98 (9435-9436) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ცოგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა ეკვლა ეკადრისობაზე ესაძაგლესია.



ეს სრული სიყალბეა! ③

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წერილი ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს

უძირო პოლიტიკური ჭაობი

④

ამ კუბილიუსმა ხომ პირდაპირ... ოპო, ჰო, ჰო!..

ევროპის სახალხო პარტია

კრიმინალ ნაციონალთა თავშესაფარია! ⑤

საქართველო სუვერენული ქვეყანაა, რომელმაც სისხლით მოიპოვა დამოუკიდებლობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

განუმეორებელი სტილის მოაზროვნე



მინდია უგრეხელიძეს 80 წელი შეუსრულდა

იურიდიულმა საზოგადოებრიობამ **მინდია უგრეხელიძე** ახალგაზრდობიდანვე შეიცნო, როგორც მომავლის იურისტი. მისი მეცნიერული ნაშრომები და რეცენზიები ხშირად ქვეყნდებოდა უცხოურ იურიდიულ პრესაში, რაც გასული საუკუნის 70-იან წლებში სამართლის დარგში ჯერ კიდევ იშვიათი მოვლენა იყო. არც შემდგომ პერიოდში შეუნელებია მას წარმატებით სვლა სამართლებრივ ასპარეზზე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბატონმა მინდიამ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სამართლებრივი სისტემის რეფორმირებისა და სახელმწიფო სტრუქტურების საკონსტიტუციო მშენებლობის საქმეში. აღნიშნულის დასტურია არაერთი სამთავრობო, პროფესიული, სამეცნიერო თუ სხვა ჯილდო. ცოტა ხნის წინ სავსებით დამსახურებულად მოხდა მისი არჩევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონ მინდიას დაეკისრა დიდი, საპატიო და ფრიად საპასუხისმგებლო მისია, ყოფილიყო პირველი ქართველი მოსამართლე საერთაშორისო მართლმსაჯულების სისტემაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის რანგში. მან ბევრი პარტნიორი, მოკავშირე და მხარდამჭერი შესძინა ქართულ სამართალსა და სამართალმცოდნეობას, კიდევ უფრო განამტკიცა თინათინ წერეთლის ქართული სამართლის მეცნიერული სკოლის აღიარება და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე.

ბატონი მინდია ამჟამადაც ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას განაგრძობს მეცნიერულ და საგამომცემლო სფეროებში. სრულიად გამორჩეულია ინდივიდუალობით გამსჭვალული მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც უკვე ნახევარსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. ღვაწლმოსილ იურისტს ეკუთვნის არაერთი ახალი მნიშვნელოვანი იდეა, მეთოდი თუ კონცეპტი სამართლის დარგში, მაგრამ არაფერია იმაზე ღირებული, ვიდრე უმაღლესი სტანდარტი და საკუთარი, სრულიად განუმეორებელი სტილი, რომელიც მან შემოიტანა ქართულ იურიდიულ აზროვნებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

ვულოცავ ცნობილ იურისტს და საქართველოს უახლესი ისტორიის თვალსაჩინო წარმომადგენელს 80 წლის იუბილეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე.

ირაკლი ღარიბაშვილი



დღის ამბავზე

ეკა ბესელიამ რა იცის, სად რა ტრიალებს?

რატომ მეშინია და რატომ ტრიალებს „შავი ფული“? ეკა ბესელიამ რა იცის, სად რა ტრიალებს? მან თავისი „შავი ფული“ მოიკითხოს. „ქართული ოცნებიდან“ ზუსტად იმიტომ წავიდა, რომ „შავი ფული“ ვერ აკეთა „ქართულ ოცნებაში“... ეს თამამად შემიძლია გითხრათ...

ირაკლი კობახიძე

მთვარისა კერესელიძე

ია-იებით ნაფერებ ზეცას
აკაციების რად ადევს ფერი?
ან ბროწეულის ყვავილი ეცვას,
ან შეიმოსოს ყვავილით შქერის.
ამ მთა-ხევებით დამძივებული,
აფეოქებული ატმის კოკრებად,
ან შეასკდება სიმღერას გული,
ანდა უთქმელი ლექსით მოკვდება!

⑦

ეს ქვეყანა — ნატვრის-თვალი ძირიანა ამოვლოცე!..

ირაკლი ღარიბაშვილი და კახა კალაძე ტაშკენტში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, თბილისის მერ კახა კალაძესთან ერთად, ტაშკენტში შოთა რუსთაველის სახელობის რეკონსტრუირებული სკვერის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა, — ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მთავრობის მეთაურმა დედაქალაქის მერთან ერთად სკვერში მდებარე შოთა რუსთაველის ძეგლი ყვავილებით შეამკო.

უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა შოთა რუსთაველის სახელს ატარებს. ამავე ქუჩაზე განთავსებულია შოთა რუსთაველის ძეგლი და ასევე, მიმდებარე სკვერიც შოთა რუსთაველის სახელობისაა. უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ზურაბ აბდუშელიშვილის ინიციატივითა და ტაშკენტის მერიის ხელშეწყობით, შოთა რუსთაველის ძეგლსა და სკვერს სრული რეკონსტრუქცია 2022 წელს ჩაუტარდა.

შალვა პაპუაშვილი: „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლელომ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ თავი აარიდეს ევროკომისიის რეკომენდაციებზე მუშაობას!

„ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლელომ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ დღესაც თავი აარიდეს ევროკომისიის რეკომენდაციებზე მუშაობას, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, ეს აჩვენებს, რომ მათთვის მთავარი ინტერესია არა ევროპა, წინსვლა, არამედ ძალაუფლების დაბრუნება.

„დღეს მიმდინარეობს შეხვედრა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ფარგლებში, იმ მცირე სამუშაო ჯგუფის, რომელზეც პირველადი საკითხები განვიხილეთ. შემდეგ, რა თქმა უნდა უფრო ფართო ჩართულობა იქნება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლობის. დღესაც, კიდევ ერთხელ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მასთან არსებულმა ორმა პარტიამ, „ლელომ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ასევე თავი აარიდეს ევროკომისიის რეკომენდაციებზე მუშაობას. გუშინ თითქოს მოგვიწოდებდნენ, რომ საჩქაროდ არის საკითხები განსახილველი, დღეს ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობასაც კი არ იღებენ, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს საზოგადოებას, რომ მათთვის მთავარი ინტერესი არის არა ევროპა, არა საქართველო, არა წინსვლა, არამედ ერთადერთი მთავარი მიზანი არის ძალაუფლების დაბრუნება“, — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.



ევროპარლამენტის დელეგაცია მომავალ კვირაში საქართველოში ჩამოვა და ახალი რეზოლუციისთვის დამატებით ინფორმაციას შეაგროვებს, ბრიუსელში კი, საქართველოსთან დაკავშირებული კრიტიკული ანგარიშის პროექტზე იმსჯელეს. ამის ფონზე, ვხედავთ, საქართველოში პოლიტიკური დავა 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების გზებზე გრძელდება.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** ამბობს, რომ ამ ვადის გახანგრძლივება „ქართულ ოცნებას“ აძლევს ხელს.

„ევროკავშირმა კარგად დაინახა, რომ „ქართული ოცნება“ არ აპირებს რეკომენდაციების შესრულებას, რომელიც ევროკომისიის მიერ იყო წარმოდგენილი 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში. ევროკავშირმა თავი აარიდა წაგებულ თამაშში ჩართვას, რადგან მის პრესტიჟზეც ნეგატიურად აისახება, რომ მის ინტერესებს უგულებელყოფენ.

ეს გადაწყვეტილება „ქართულ ოცნებას“ ნაწილობრივ ხელს აძლევს, მოთხოვნებს არ შეასრულებს და გაუადვილდება ძალაუფლების შენარჩუნება. თუ ხელისუფლება არ შეიცვლება, ძალიან გაჭირდება, რომ რაიმე დადებითი შედეგები მივიღოთ“, — განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ არსებობს მოსაზრება, თითქოს ევროკავშირმა საქართველოსთან დაკავშირებით, უხეში შეცდომა დაუშვა, როდესაც მას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მისცეს. შესაბამისად, ამ ვადის გახაგრძლივება თავად ევროკავშირსაც აძლევს ხელს.

„შეფასებები ძირითადად დადებითი იყო და გადადეს იმიტომ რომ, საქართველოსთვის მეტი დრო მიეცათ. ეს გადაწყვეტილება გაიგება როგორც მასწავლებლის მხრიდან შეღავათი იმაზე, რომ მოწაფემ ცოტა მოგვიანებით გასცეს პასუხი, მოფიქრებისთვის მეტი დრო ჰქონდეს, მაგრამ არ მგონია, რომ ეს შეღავათი მხოლოდ საქართველოზე ზრუნვით იყოს განპირობებული.

გადავადება მათ ინტერესშიც შედის იმ მხრივ, რომ ბევრი რეაქცია გაჩნდა, საქართველოსთვის კანდიდატობის სტატუსის არმიღების დროს, რომ ეს სტრატეგიული, უხეში შეცდომა იყოო. ისინი ვერ ჩამოყალიბდნენ, რომელი სტრატეგიაა მომგებიანი და მათ ინტერესებში რა ადგილი უკავია კავკასიას“, — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, **შალვა პაპუაშვილის** განცხადებით, ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებისთვის 6-თვიანი ვადა „გადაჭარბებულად ცაიტნოტური იყო“. ვადის გაზრდით ევროკომისიამ თავი დაიზღვია. მმართველი გუნდი არ ეთანხმება ევროკავშირს: რას ნიშნავს შეფასების გადავადება და რა შეიძლება შეიცვალოს ერთ წელიწადში?

„ზოგადად, 6-თვიანი ვადა გადაჭარბებულად ცაიტნოტური იყო, ერთი მხრივ თუ გავითვალისწინებთ იმ საკითხებს, რაც ამ რეკომენდაციებშია და მეორე მხრივ, როდესაც საქართველო ამ რეკომენდაციებს შეასრულებს, საჭირო, ევროკომისიამაც გარკვეული დრო დაუთმოს ამის გადამოწმებას. ამიტომ, ვფიქრობ, თავი დაიზღვიეს და თავადაც დრო აიღეს, რათა შეძლებისდაგვარად სრულფასოვნად განიხილონ ეს საკითხი. როგორც ვვარაუდობ, იგივე საკითხი შეეხება უკრაინასა და მოლდოვას. იქ უფრო რთულადაა საქმე. მაგალითად, მოლდოვის მიმართ წაყენებული რეკომენდაცია, რომ საჯარო სამსახურის რეფორმა გატარდეს, ვფიქრობ, წარმოუდგენელია ამ 6 თვეში შესრულდეს, ვფიქრობ, იქით უფრო საჭირო იყო დამატებითი ვადები.

რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, გეგმები არ იცვლება, წარმოდგენილი გვაქვს მკაფიო გრაფიკი. არა მხოლოდ თვეებით, არამედ თარიღებითაა გაწერილი, სადაც ჩაწერილია, როდის დაინიცირდება და მესამე მოსმენით მიიღება. ამ 12 პუნქტიდან, ყველა საკითხი, ჩვენი მხრიდან დეკემბერში სრულდებოდა. ორი საკითხი იყო ჩვენს გრაფიკში — სასამართლო და საარჩევნო რეფორმა, რომელთა ინიცირება ნოემბერში და დეკემბრის დასაწყისში მოხდება, შემდეგ ვაგზავნით ვენეციის კომისიაში, ამის შემდეგ გააგრძელებს პარლამენტი მიღებას. აქ ჩვენ დამოკიდებული ვართ ვენეციის კომისიაზე, რომ 6 თვის ვადაში ჩავეტიოთ“, — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ნიკო ჩოხელი

სამონადირეო მეურნეობა რაჭველებს უხმობს!

რაჭაში სამონადირეო მეურნეობის მოწყობასთან დაკავშირებით პროცესი იქნება გამჭვირვალე...

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, რაჭაში, სამონადირეო მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებით გაცემული ლიცენზიის შესახებ დასმულ კითხვებს უპასუხა.

„დავიწყებ იმით, რომ არ მომხდარა ტერიტორიების გასხვისება, საუბარი არ არის გასხვისებაზე, არამედ, საუბარია კომპანიისთვის სალიცენზიო პირობების შესაბამისად გარკვეული უფლებამოსილების გადაცემაზე, რომელსაც ახლავს ძალიან ბევრი ვალდებულება.

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს — ინფორმაცია, თითქოს მოსახლეობას არ ექნება უფლება ტყეში შესვლის და სხვადასხვა რესურსით სარგებლობის, არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენ ეს შეგვიძლია ვნახოთ სალიცენზიო პირობებში. არავითარ შემთხვევაში არ იზღუდება მოსახლეობის უფლება, თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, მოიპოვოს არამერქნული რესურსი. გარდა ამისა, ლიცენზიის პირობებით, ლიცენზიანტს აქვს ვალდებულება, რომ დაიცვას ტყე უკანონო ტყითსარგებლობისგან, ხანძრისგან, დაიცვას ჰაბიტატები, სახეობები; ასევე, განახორციელოს ინვესტიცია პირველი 5 წლის განმავლობაში მინიმუმ 5 მილიონი ლარის ფარგლებში და, ამ ინვესტიციის ფარგლებში, განავითაროს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სადაც უნდა დაასაქმოს ადგილობრივი მოსახლეობა. სალიცენზიო პირობებში პირდაპირი ვალდებულებაა, რომ 80 პროცენტი დასაქმებულების უნდა იყოს ადგილობრივი. შესაბამისად, ვფიქრობთ, სალიცენზიო პირობები უზრუნველყოფს იმას, რომ დავიცვათ ტყე და ჩვენი ბუნებრივი რესურსები და, ამავდროულად, შევქმნათ ადგილობრივი მაცხოვრელებისთვის პირობები და ეკოტურისტული მიმართულების განვითარების შესაძლებლობები.

ეს არ არის პირველი შემთხვევა. კომპანია ვალდებულია, ლიცენზიის აღებიდან ერთი წლის განმავლობაში წარმოადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა; მანამდე კომპანიას არა აქვს უფლება ღონისძიებები გაატაროს, გარდა ტყის დაცვითი ღონისძიებებისა. წარმოდ-

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წერილი ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს

ეს სრული სიყალბეა!

როგორც მოგეხსენებათ, ამა წლის 9 ივნისს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ. სამწუხაროდ, აღნიშნული რეზოლუცია უამრავ დაუსაბუთებელ ჩანაწერს და ფაქტობრივ უზუსტობას შეიცავს, რასთან დაკავშირებითაც მზად ვარ, საჭიროების შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია მოგაწოდოთ.

რეზოლუციაში გამოთქმულია შეშფოთება „დესტრუქციული როლის გამო, რომელსაც ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში ასრულებს, აგრეთვე მის მიერ ხელისუფლებასა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე განხორციელებული კონტროლის გამო, მათ შორის ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების პოლიტიკურ დევნას უკავშირდება“. რეზოლუციაში, ასევე, გამოთქმულია შეშფოთება „კრემლთან ივანიშვილის პირადი და საქმიანი კავშირების გამო, რაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მიმართ საქართველოს მოქმედი ხელისუფლების პოზიციას განაპირობებს“. გარდა ამისა, რეზოლუცია მოუწოდებს ევროპულ საბჭოს და დემოკრატიულ პარტნიორებს, “განიხილონ ივანიშვილის მიმართ პერსონალური სანქციების დაკისრების საკითხი იმ როლის გამო, რომელიც მან საქართველოში პოლიტიკური პროცესის გაუარესებაში შეასრულა“.

ევროპარლამენტის რეზოლუციის აღნიშნული ჩანაწერები არ ეფუძნება არავითარ დასაბუთებას და საქართველოში მოქმედი მმართველობის სისტემის დისკრედიტირებას ისახავს მიზნად. ოპონენტებს არასოდეს წარმოუდგენიათ პოლიტიკაში თუ მართლმსაჯულებაში ბიძინა ივანიშვილის ჩარევის არც ერთი ფაქტი, ის საქართველოში აღარ აწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობას, არ არსებობს რუსეთთან მისი პირადი თუ საქმიანი კავშირის რაიმე პრეცედენტი. შესაბამისად, ყველაფერი, რაც რეზოლუციაში არაფორმალურ მმართველობასთან დაკავშირებით ჩაიწერა, სრული სიცრუეა.

გასაგებ მიზეზთა გამო, ამ წერილში არ შევჩერდები ბიძინა ივანიშვილის გამორჩეულ წვლილზე 2012 წელს საქართველოში არადემოკრატიული მმართველობის დასრულებასა და 2012 წლიდან ქვეყნის ფუნდამენტური დემოკრატიული წინსვლის უზრუნველყოფაში. ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებაზე არაფორმალური მმართველობის შესახებ, რომელიც პირადად ჩემთვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია. საუბარი იმაზე, რომ მთავრობა რეალურად არა პრემიერ-მინისტრის, არამედ პოლიტიკიდან წელიწადნახევრის წინ საკუთარი ნებით გასული ადამიანის მიერ იმართება, შეურაცხმყოფელია პირადად ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის.

გარდა ამისა, რეზოლუციის ჩანაწერები გამოიყენება ოპოზიციის რადიკალური ნაწილის მიერ საქართველოში პოლარიზაციის კიდევ უფრო გასაღრმავებლად და შესაბამისად, ჩემი ქვეყნისთვის ამ თვალსაზრისითაც პრობლემურია. ასევე, რეზოლუცია პირდაპირ იქნა გამოყენებული შვეიცარიული ბანკის მიერ ბიძინა ივანიშვილის ფინანსური გადარიცხვების შესაჩერებლად.

შესაბამისად, ბანკი ევროპარლამენტის დოკუმენტს იყენებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის კანონიერი უფლებების შესალახად, რაც, ასევე, ქვეყნის დისკრედიტაციას ახდენს.

მოხარული ვარ, რომ ევროპულმა კომისიამ და ევროპულმა საბჭომ ევროპარლამენტის ყოვლად უსაფუძვლო მოწოდება არ გაიზიარეს და პირადად თქვენ ამისათვის მადლობას გიხდით.

თუმცა, ევროპარლამენტის რეზოლუციის უარყოფითი გავლენის სრულად გასანეიტრალებლად, მნიშვნელოვანია, ევროპულმა კომისიამ მკაფიო პოზიცია გამოხატოს იმ უსაფუძვლო ბრალდებების მიმართ, რომლებიც რეზოლუციაშია გამოთქმული. ევროპული კომისიის მიერ მკაფიო პოზიციის გამოხატვა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ქართველ ხალხს ევროპული სტრუქტურების მიმართ უსამართლობის განცდა არ გაუღრმავდეს და ოპოზიციის რადიკალურმა ფრთამ ევროპარლამენტის რეზოლუცია პოლარიზაციის გაღვივებისთვის არ გამოიყენოს.

გარდა ამისა, შეფასების დოკუმენტში, რომელიც ევროპულმა კომისიამ საქართველოსთან დაკავშირებით გამოაქვეყნა, უკრაინასთან და მოლდოვასთან მიმართებით შედგენილი შეფასების დოკუმენტების ანალოგიურად, ნახსენებია სიტყვა დეოლიგარქიზაცია. ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები და ევროპარლამენტში მათი ლობისტები ამ ჩანაწერს აქტიურად იყენებენ და აღნიშნავენ, რომ ევროპულმა კომისიამ დეოლიგარქიზაციის დათქმა დოკუმენტში ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამო შეიტანა. როგორც უკვე აღვნიშნე, ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკასა და მედიაზე არავითარ ფორმალურ თუ არაფორმალურ გავლენას არ ფლობს და ოლიგარქად ვერავითარი სამართლებრივი თუ პოლიტიკური კრიტერიუმით ვერ შეფასდება. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოში არის კრიმინალური წარსულის მქონე რამდენიმე ფინანსურად შეძლებული პირი, რომელიც პოლიტიკასა და მედიაზე აქტიური გავლენით სარგებლობს და ამ გავლენას ოპოზიციის რადიკალური ფრთის სასარგებლოდ იყენებს. მე თქვენ ვერ მოგთხოვთ ამ პირების ოლიგარქებად გამოცხადებას. თუმცა, იმისათვის, რომ ევროპული კომისიის შეფასების დოკუმენტი არ იქნეს გამოყენებული მანიპულაციისა და საქართველოს მმართველობის სისტემის დისკრედიტაციისთვის, ჩემი თხოვნაა, კომისია მკაფიოდ გაემიჯნოს დეოლიგარქიზაციის შესახებ ჩანაწერის პერსონიფიკაციას. ამ შემთხვევაშიც, ევროპული კომისიის პოზიციის სიცხადე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ არ დარჩეს სივრცე სპეკულაციებისთვის, ქართულ საზოგადოებაში შევინარჩუნოთ მაღალი ნდობა ევროპული სტრუქტურების მიმართ და ხელი შეეწყოს პოლარიზაციის ხარისხის შემცირებას საქართველოში.

დანართის სახით, გიგზავნით ჩემს მიერ რამდენიმე დღის წინ საქართველოში გამოქვეყნებულ წერილს, სადაც დეტალურად განვმარტე ძირითადი ღირებულებები და პრინციპები, რომლებსაც ჩემს ქვეყანაში მმართველობის სისტემა ეფუძნება. ვფიქრობ, აღნიშნული წერილი ცხად წარმოდგენას შეგიქმნით იმის შესახებ, თუ რატომ ებრძვის რადიკალური ოპოზიცია ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკიდან მისი სრული დისტანცირების შემდეგაც.

გენილი უნდა იყოს სრული ნუსხა, თუ რის გაკეთებას აპირებს, როგორი იქნება ის პროექტები, რომელსაც ის განახორციელებს და რა იქნება თანამონაწილეობა“, — განაცხადა ოთარ შამუგიამ.

მინისტრის განმარტებით, 2003 წლიდან 16 სამონადირეო მეურნეობაზე არის გაცემული ლიცენზია ქვეყნის მასშტაბით და ყველა შემთხვევაში კომპანია ლიცენზიის აღების შემდეგ წარმოადგენს მართვის გეგმას, რომელსაც განიხილავს სამინისტრო და ყველა შესაბამისი უწყება. ოთარ შამუგიას განცხადებით, ამ პროცესში მაქსიმალურად ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული პირი და ადგილობრივი მოსახლეობა.

„მათთან შეთანხმებით უნდა შედგეს ის გეგმა, რომელიც შემდგომ უნდა განახორციელოს ლიცენზიის მფლობელმა. შესაბამისად, გათვალისწინებული იქნება ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები. ეს პროცესი იქნება ღია, გამჭვირვალე. პროცესში უნდა ჩაერთოს ყველა — ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა, რათა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მათი ინტერესები“, — განაცხადა ოთარ შამუგიამ.

გვაქვს ამბიცია, რომ ამერიკაში ღვინის ექსპორტს გავზრდით!

მიმდინარე წელს გავაფორმეთ კონტრაქტი ერთ-ერთ ძალიან წარმატებულ ამერიკულ მარკეტინგულ კომპანიასთან, რომელიც ახორციელებს ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებებს ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე. აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, სწორედ მათთან ერთად შევხვდით ქართული ღვინის იმპორტიორებს და ერთობლივად განვიხილეთ ის საკითხები, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად გავზარდოთ ღვინის ექსპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, — განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, სადაც ამერიკის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის და ექსპორტის ზრდის საკითხებზე ისაუბრა.

„შარშან მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო გავიტანეთ ამერიკის ბაზარზე. წელს, გვაქვს დაახლოებით 15 %-იანი ზრდა, თუმცა ეს მაჩვენებლები არ გვაკმაყოფილებს და გვაქვს ამბიცია, რომ გაცილებით მეტი შედეგები გვქონდეს ამ ბაზარზე; ამის რესურსიც გვაქვს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია კოორდინირებული მუშაობა სექტორთან, მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან ერთად და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში ჩართული უნდა იყოს ის კომპანია, რომელიც მუშაობს ღვინის პოპულარიზაციაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში“, — განაცხადა ოთარ შამუგიამ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, არსებობს ამბიციური გეგმები და გაცილებით დიდი შედეგების მიღწევაა შესაძლებელი ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე ღვინის ექსპორტის კუთხით. ოთარ შამუგიას განცხადებით, USAID-ში გამართულ შეხვედრაზე გამოითქვა მზადყოფნა ამ მიმართულებით საქართველოს მხარდაჭერის კუთხით.

„ჩვენ ასევე გვქონდა შეხვედრა CNFA-ის ხელმძღვანელობასთან და თქვენ იცით, რომ ეს ორგანიზაცია წლებია საქართველოში სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისთვის ახორციელებს არაერთ პროექტს და მათი მხრიდანაც გამოითქვა მზადყოფნა ამ პროცესების გაგრძელების, ჩვენი მხარდაჭერის. ასევე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ გვქონდა შეხვედრა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან. მსოფლიო ბანკი დღეს საქართველოში ახორციელებს ირიგაციის მხარდაჭერის პროექტს, რომლის ღირებულება, დაახლოებით 50 მლნ დოლარია და რომელიც მომავალ წელს სრულდება. ჩვენ უკვე დავიწყეთ აქტიური მუშაობა გაცილებით მასშტაბურ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც, ვფიქრობთ, რომ, დაახლოებით, 100 მლნ დოლარის ინვესტირება მოხდება საირიგაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის. ასევე მსოფლიო ბანკი დაგვეხმარება მიწის მართვის კუთხით რეფორმების განხორციელებაში და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის სხვა რგოლების განვითარების მხარდაჭერაში. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს, კოლეგებს ძალიან საინტერესო შეხვედრებისა და მხარდაჭერისთვის“, — განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ამ კუბილიუსმა ხომ პირდაპირ... ოჰო, ჰო, ჰო!..

მაგრამ მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო: რევოლუციური იდეა-ექსპერიმენტი ჩავარდა, გიორგი ვაშაძე და მისი მსგავსი მალემრწმენნი მშრალზე დარჩნენ. დისკრედიტირებული საჯარო აქციების ეპოქა კარგა ხნით მოსცილდა ძვეყნის კაბადონს და...ახალი (გადამრჩენი) იდეა შეგვივჯდა დეოლიგარქიზაციისა, ანუ როგორ ალვასრულოთ ევროკავშირის რეკომენდაციების ერთ-ერთი მთავარი პირობა... აქ ჯილა სირთულე ის რის, რომ არც მეტი, არც ნაკლები, უნდა გაიწიროს ნაცმოძრაობის რეჟიმის დამმარცხებელი და ძვეყნის პოლიტიკური ჰორიზონტიდან მისი გადამგველი, „ძართული ოცნების“ ფუძემდებელი და მსოფლიო მასშტაბით უდიდესი ძველმოძმედი ბიძინა ივანიშვილი.

უძირო პოლიტიკური ჭაობი

და ატყდა, მაგრამ რა ატყდა: ეს თეთრი ყვავი მილიარდერი ანათემას გადავცეთ, ევროკავშირს მივუგდოთ საჯიჯგნადო, დაასანქცირონ, ჩვენც მოვისვენოთ და იმათაცო!

ნუ დავუკარგავთ: პირველი გია ხუხაშვილი იყო, ვინც ამ გამძვინვარებულ ორომტრიალში აიღო და დაახეთქა, არსებულ მახინჯ ვითარებას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება თუ გამოასწორებსო. არადა, ეს თამამი პიონერი გახლდათ კაცი, ვინც ბიძინას გინების რანგში აყვანილი კრიტიკით დაიტკბო მთელი თავისი შეგნებული, პარტიისშემდგომი სიცოცხლე.

ეს აზრი, ჩანს, პირდაპირ ტივტივებდა ჩვენი უძირო პოლიტიკური ჭაობის ზედაპირზე და ერთი წამობუყბუყება გახდა საკმარისი, რომ მთელი მწვანე სივრცე აღიარების ბუშტუკებს დაეფარა.

ექსპერტმა თორნიკე შარაშენიძემ გამოწვევა მიიღო და ბიძინას შესეულ ოპოზიციას თითი დაუქნია: ივანიშვილი ძალიან ჭკვიანი და ფრთხილი ადამიანია, მისი სანქცირება არ არის მარტივი საქმე, ამის არავითარი საფუძველი არ არსებობსო. არ არსებობს ფაქტები, რომ ომის დაწყების შემდეგ ის რუსეთთანაა გარიგებული და უკრაინის წინააღმდეგ მოქმედებს, რომ არაფორმალურად მართავს ქვეყანას (ეს ორი მთავარი, მაგრამ „ფუყე ბრალდებაა“ სანქცირების გზაზე). ის კი არა, როცა ბიძინა 2011 წელს პირველად გამოჩნდა პოლიტიკაში, საკაკაშვილის რეჟიმმა აქტიურად დაიწყო მასზე „კომპრომატების“ ძიება, ბევრი უთხარეს საფლავი, მაგრამ ამაოდ დაშვრნენო.

მერე მოხდა მთლად მოულოდნელი — მოქალაქე ლევან იოსელიანმა და გირჩელმა იაგო ხვიჩიამ დაასველეს ენა ევროკავშირის მიერ შერისხული ბიძინა ივანიშვილის სასარგებლოდ, ანუ ასე თუ ისე გამოესარჩლნენ. ახლა ამ თემაზე „პატრიოტთა ალიანსიც“ ალაპარაკდა დავით თარხან-მოურავის პირით.

ეს თემა ყოველგვარ „პარტიათაშორის“ საზღვრებს გასცდა, როცა 12 ივლისს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობის თაობაზე წერილი გაავრცელა ფეისბუკის ოფიციალურ გვერდზე. ის გამოეხმაურა „შიდა“ თუ „გარე“ ოპონენტების მიერ აგორებულ კამპანიას დეოლიგარქიზაციის შესახებ, რაც, პრემიერის თქმით, ერთი მხრივ, წარმოადგენს ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებებს ივანიშვილის მიმართ და, მეორე მხრივ, საქართველოში მოქმედი მმართველობის სისტემის დისკრედიტირებას ისახავს მიზნად.

უფრო მეტიც, 18 ივლისს პრემიერმა წერილით მიმართა ევროკომისიის პრეზიდენტს ურსულა ფონ დერ ლაიენს და მოუწოდა, მკაფიო პოზიცია გამოხატოს ევროპარლამენტის რეზოლუციაში გამოთქმულ „უსაფუძვლო ბრალდებებზე“ და ასევე გაემიჯნოს კომისიის შეფასებით დოკუმენტში დეოლიგარქიზაციის შესახებ ჩანაწერის პერსონიფიკაციას. ევროპარლამენტის რეზოლუციის მიმართ ევროპული კომისიის მიერ მკაფიო პოზიციის გამოხატვა არის აუცილებელი პირობა, რათა ქართველ ხალხს ევროპული სტრუქტურების მიმართ უსამართლობის განცდა არ გაუღრმავდესო.

„ბიძინა-არა ბიძინას“! ირგვლივ ატეხილი ხმაურის ექომ საქართველოზე კომპეტენტური აზრის გამოსათქმელად მარად მზადმყოფი ევროპარლამენტარების ყურადღება მიიქცია, უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, გააღიზიანა ამ ექომ და რეაქციამაც არ დააყოვნა. 13 ივლისს ევროპარლამენტში საქართველოსთან ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების წლიური ანგარიშის განხილვისას ევროპარლამენტარმა რასა იუკნევიჩიანემ გაკაპასებისგან აკანკალებული ხმით განაცხადა, თუ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაიგო რას ნიშნავს დეოლიგარქიზაცია, რაც ევროკომისიის წინადადებაშია აღნიშნული, მე დავეხმარები, რომ გაიგოს: ეს ნიშნავს საქართველოს „დებიძინიზაციას“ ანუ „დეივანიშვილიზაციას“!

ძალბატონ რასას სხვებმაც აუბეს მხარი, ამ კუბილიუსმა მაინც ხომ მთლად ოჰო ჰო ჰო!.. მათი ეს გამოხდომა (მაშ რა ჰძვია სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ასე უპარდონო ჩარევას?!) სათავისოდ გაიგო ოპოზიციამ. მაგალითად, დავით უსუფაშვილმა ბრძანა, ორ ირაკლის (ვითომ ღარიბაშვილსა და კობახიძეს) აძვს პოტენციალი ზრდილობიან ევროპელ პოლიტიკოსებს ბრიუსელიდან ძვების სროლა დააწყებინონო.

ამ თვალმახვილ დამკვირვებელს ისიც უნდა შეემჩნია, რომ ზრდილობიან ევროპელ პოლიტიკოსებს აქვთ პოტენციალი თავიანთი მიკერძოებულობითა და საეჭვო დაუნახაობით, სიმწრის ბღავილი დააწყებინონ მთელ ერს...

მოკლედ, „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

გამოიკვეთა უსიხარულო რეალობა: დეოლიგარქიზაციის ტერმინის გამოყენებით ხდება პირდაპირი შტურმი საქართველოზე. ჰოდა, უნდა დავიჯეროთ პარლამენტარ მამუკა მდინარაძის გულწრფელობა, თუ ივანიშვილის ოლიგარქობა „გაიმარჯვებს“, როგორღა დავიცვათ სიმართლეო?

ქვეყანაში დეოლიგარქიზაციის დროშით ატეხილმა დაპირისპირებამ „მომაკვდავი“ ყოფილი პრეზიდენტიც კი შეაწუხა და სამწყსოს მოუწოდა, შეწყვიტეთ „ცივი ომი“ ქვეყნის შიგნით და ბრაზი მიმართეთ დამპყრობლისკენო. ანუ „ხვედელიძე, დაცვას მიხედე, დაცვასო“. როგორც ვხედავთ, საწოლს საეჭვოდ „მიჯაჭვული“ მიხეილ სააკაშვილი კვლავაც რჩება მსოფლიოს უპირველეს ტაქტიკოსად და სტრატეგოსად. ამჯერად ის თავისი დაუძინებელი მტრების-ბიძინისტების წინააღმდეგ კი არ ამხედრებს თავისიანებს, არამედ დამპყრობელი რუსეთისა, რამეთუ ამ მიმართულებით ბრაზის გონივრულად წარმართვა თავისთავად გულისხმობს დამპყრობელს მიმხრობილი კოლაბორაციონისტების წინააღმდეგ ცოფის ნთხევას.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა დღეს ასეთია: ხელისუფლება ადასტურებს, რომ უკვე დაიწყო ევროპუნქტებზე მუშაობა ავადმყოფი, ოპოზიცია ჯიუტად აცხადებს, „ქართული ოცნება“ არაფრის გამკეთებელია, მხოლოდ მე შემიძლია ამ საშვილიშვილო საქმის აღსრულებაო და დაბეჯითებით მოითხოვს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევას წამოჭრილ საკითხთა ირგვლივ სამსჯელოდ. მიზანს მიაღწია კიდეც: პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც ბოლო ხანს, როგორც მთესველი ხნულში, ისე უხვად აბნევს პეშვით ანტიოცნებურ ინიციატივებს, მხარი დაუჭირა ოპოზიციის მოთხოვნას რიგგარეშე საპარლამენტო სესიის მოწვევის შესახებ. მმართველმა პარტიამ კი მიიჩნია, რომ ეს სხდომა მხოლოდ ახალი ღრიანცელისა და დაპირისპირების არენად იქცევა, რადგან რადიკალურ ოპოზიციას („ერთიანი ნაცმოძრაობა“, „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“) არ სურს და არც ძალუძს საქმის კეთება. გადაწყდა: რიგგარეშე საპარლამენტო სხდომა არ იქნება!

ამასობაში ევროკომისია, რომელმაც აშკარად იყნოსა, რომ, რაც უფრო ახლოვდება წლის დასასრული — 12 პუნქტის ჩაბარების ვადა, საქართველოში მით უფრო ილესება ერთმანეთის დასაჭელი კბილები, შეშინდა, ემანდ, მართლა ფარცაგი არაფერი მოხდესო და დაადგინა, საქართველოს ანგარიშს განვიხილავთ და რეზოლუციას მივიღებთ არა 2022 წლის ბოლოს, არამედ 2023 წლის შემოდგომამდეო. ე. ი. ვადა გაიზარდა: 6+3, +6 ან სულაც +9 თვით.

კარგია მაგრამ, გაძლება არ გინდა?

სხვათა შორის, ხელისუფლება ცდილობს მთელი ამ კუბილიუსურ ევროპარლამენტარების განცდათა პარალელურად რალაც სასიკეთოც მოგვაწოდოს. მაგალითად, გვაცნობა, რომ თბილისის მახლობლად აღმოჩნდა და მალე მწყობრში ჩადგება 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მოცულობის საბადო. ეს კი თურმე საძართველოს 8 წლის მოხმარების ტოლია; რომ ევროპის ანტიკორუფციული ცენტრის მონაცემებით საძართველო 32-ე ადგილზეა მსოფლიოში სახელმწიფოს კეთილსინდისიერების ინდექსის მიხედვით, ხოლო მეორეა პოსტსაბჭოთა სივრცეში ესტონეთის შემდეგ.

აგაშენა ღმერთმა, რა ხანია, ასეთი კარგი ამბები არ შეგვიტყვია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ უნდა გვეშველოს, თორემ, მიშა მშვილდაძის ამდენმა არაადამიანურმა ბღავილმა და შლეგურმა თვალების ქაჩვამ ლამის ჭკუიდან გადაგვიყვანოს!

ალეკო ასლანიშვილი

რა ანგრევს შვეიცარიის საფინანსო სისტემის იმიჯს?

იურიდიულმა კომპანიამ, MKD-მ CREDIT SUISSE-ის მიმართ არსებული ვალდებულების უპრეცედენტოდ უხეში და განგრძობადი დარღვევების შესახებ შვეიცარიულ მედიაში პრესრელიზი გაავრცელა

იურიდიულმა ფირმა MKD-მ შვეიცარიულ მედიაში CREDIT SUISSE-ის მიერ კლიენტის მიმართ არსებული ვალდებულებების უპრეცედენტოდ უხეში და განგრძობადი დარღვევების შესახებ პრესრელიზი გაავრცელა.

„იმედინიუსი“ MKD-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას უცვლელად გთავაზობთ.

„2022 წლის 7 ივლისს იურიდიული ფირმის „ემ-ქეი-დი“ მიერ გამოქვეყნდა პრეს-რელიზი, რომელიც ბანკისა და მისი სატრასტო სტრუქტურების მხრიდან კლიენტის მიმართ არსებულ ვალდებულებათა იმგვარ დარღვევებს შეეხებოდა, რომლებსაც არათუ გამარტლება, არამედ ახსნაც კი არ გააჩნია. მოცემულ პრეს-რელიზში ვაცხადებდით, რომ ბანკის მენეჯმენტი თვითდაზიანების რეჟიმში არის და რომ მისი მოქმედებები ანგრევს არათუ უშუალოდ Credit Suisse-ის იმიჯს, არამედ ლახავს მთელი შვეიცარიული საბანკო სისტემისა და სახელმწიფოს რეპუტაციას.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ პრეს-რელიზში გაცხადებული ინფორმაცია მიწოდებოდა შვეიცარიულ საზოგადოებასაც, უფრო კონკრეტულად კი, მომხდარიყო მიმართვა შვეიცარიელი კანონმდებლებისა და ფინანსური მარეგულირებლისთვის, რათა მათ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, დაეცვათ ის სისტემა, რომელზეც, დიდწილად დგას შვეიცარიის ეკონომიკა და რომელსაც შეგნებულად, არაერთგზისი და განგძობადი დარღვევებით, მიზანმიმართულად ანგრევს Credit Suisse-ი და მისი მენეჯმენტი. უცვლელად გთავაზობთ ჩვენ მიერ შვეიცარიული მედიისთვის გაზიარებულ ტექსტს, რომელიც, დიდწილად, 2022 წლის 7 ივლისის პრეს-რელიზს ეფუძნებოდა:

(ციტატის დასაწყისი)

საყურადღებო სიგნალი შვეიცარიის საკანონმდებლო ორგანოსა და მარეგულირებლისთვის: Credit Suisse-ი შვეიცარიის საფინანსო სისტემის იმიჯს ანგრევს.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი შვეიცარიული საბანკო ჯგუფის, Credit Suisse-ის წინააღმდეგ გლობალურ დავას აწარმოებს და აღწევს მნიშვნელოვან წარმატებებსაც.

ეს მოვლენაც საკმარისია იმაზე სასაუბროდ, რომ Credit Suisse-ი რთულ მდგომარეობაში აგდებს მთელ შვეიცარიულ საბანკო-საფინანსო სექტორსა და სახელმწიფოს, თუმცა, როგორც ჩანს, პრობლემა კიდევ უფრო ღრმა ხასიათისაა, რაც გარდაუვლად საჭიროებს შვეიცარიული საკანონმდებლო ორგანოსა და საფინანსო მარეგულირებლის დაუყოვნებელ ჩარევას, რათა მთელ სისტემასა და სახელმწიფოს გამოუსწორებელი ზიანი არ მიადგეს.

ამჯერად, საუბარია იმაზე, რომ, გარდა უშუალოდ სასამართლო დავებისა, რომლებიც მიმდინარეობს ბერმუდის კუნძულებზე, სინგაპურსა და შვეიცარიაში, ბ-ნ ივანიშვილს მინდობილი აქვს მნიშვნელოვანი აქტივები Credit Suisse-ის სატრასტო კომპანიებისთვის. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ხსენებული აქტივები არ არის სადავო და არ წარმოადგენს განხილვის საგანს არცერთ იურისდიქციაში. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ბანკში მომხდარი კანონდარღვევების შესახებ ცნობილი გახდა, ბატონი ივანიშვილის დაჟინებული მოთხოვნით ხსენებული აქტივები უკვე მრავალი წელია, რაც იმავე ტრასტის მართვით უკვე სხვა შვეიცარიულ ბანკშია განთავსებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ Credit Suisse-ს არც ლიკვიდურობის და არც აქტივების დაზოგვის კუთხით უნდა ჰქონდეს დაბრკოლება მოცემული აქტივების კლიენტის ინსტრუქციების შესაბამისად განკარგვაში. სწორედ ბანკსა და მის სატრასტო კომპანიებთან ურთიერთობის ფარგლებში, ბანკის მიერ ჩადენილ განმაცვიფრებელ დარღვევებს ეხება წინამდებარე განცხადებაც.

2022 წლის მაისში საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შვეიცარიული ბანკის მხრიდან ადგილი ჰქონდა კლიენტის უფლებათა უხეშ შელახვასა და პოლიტიკურ ზეწოლას. გვსურს საზოგადოებას შევახსენოთ მოვლენათა ის ქრონოლოგია, რომელიც ზემოაღნიშნულ დასკვნას დაედო საფუძვლად:

ბანკის სატრასტო სტრუქტურის მხრიდან ბენეფიციარის ინტერესების უგულებელყოფა ჯერ კიდევ 2022 წლის მარტიდან დაიწყო, როდესაც ბენეფიციარის მხრიდან გადარიცხვის ინსტრუქციის შესრულებას 1 თვე დასჭირდა. სწორედ ამგვარი გაჭიანურების პერიოდში მიუთითა პირველად ბანკმა, რომ მისი უმოქმედობა და კლიენტის დავალების შეუსრულებლობა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდებოდა. აშკარა იყო, რომ საუბარი იყო უკრაინაში მიმდინარე ომზე, თუმცა სრულიად გაუგებარი იყო ბენეფიციარის რაიმე ფორმით შემხებლობა ხსენებულ ე.წ. „გეოპოლიტიკურ მოვლენებთან“. მიუხედავად იმისა, რომ ბანკს განემარტა, რომ ბენეფიციარი არ წარმოადგენდა რუსეთის მოქალაქეს, არ გააჩნდა რუსეთში ბიზნეს ინტერესები, არ იყო სანქცირებული პირი და არც სხვა რაიმე ნიშნით შეიძლება მის მიერ საკუთარი თანხის განკარგვა შეფერხებულიყო უკრაინაში ომის გამო, დავალების შესრულებას მაინც 1 თვე დასჭირდა. თუმცა, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ამით პრობლემა კი არ ამოიწურა, არამედ კლიენტზე ზეწოლის ტალღა მხოლოდ ახლა იწყებოდა:

უკვე 2022 წლის 11 აპრილის მოთხოვნის საპასუხოდ, რომ ტრასტს მოეხდინა გარკვეული თანხების გადარიცხვა, ტრასტმა ოთხჯერ: 13 აპრილს, 20 აპრილს, 5 მაისსა და 19 მაისს იდენტური კითხვები დაუსვა ბენეფიციარს მიუხედავად იმისა, რომ მან სრული, ამომწურავი ინფორმაცია პირველივე კითხვაზე საპასუხოდ მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარი მიმართავდა ტრასტს, თუ რა იყო კლიენტისგან დამატებით საჭირო, რა ინფორმაცია, რა დოკუმენტი, რა ტიპის ხელმოწერა აკლდა დავალების მიმღებს და აფიქსირებდა, რომ იგი მზად იყო, მაქსიმალურად შეეწყო ხელი ტრასტისთვის თავისი ვალდებულების შესრულებაში, ტრასტი ჯიუტად სვამდა კითხვებს უკვე პასუხგაცემულ საკითხებზე. საბოლოოდ, 5 მაისს ტრასტის წარმომადგენელი დაპირდა კლიენტს, რომ იგი მოამზადებდა საჭირო დოკუმენტების პროექტებს და გადმოუგზავნიდა ბენეფიციარს ხელმოწერისთვის, თუმცა, როგორც ჩანს, თავისივე ნათქვამი თვითონ დაავიწყდათ და 2 კვირის განმავლობაში დოკუმენტების მოუწოდებლობის შემდეგ, 19 მაისს ისევ ძველი კითხვები გაახსენდათ და დოკუმენტების ნაცვლად ისევ კითხვები გამოგზავნეს. ტრასტის მიერ ბენეფიციარის მიმართ არსებული ვალდებულება დღესაც, 3 თვის შემდეგ, კვლავ უგულებელყოფილია, თუმცა კლიენტის უფლებათა დარღვევისთვის ახალი, აშკარა პოლიტიკური შეფერილობის საბაბი მოინახა.

კერძოდ, 2022 წლის 5 ივლისს კლიენტმა მიიღო წერილი ბანკისგან, სადაც საუბარია ევროპული პარლამენტის იმ რეზოლუციაზე, რომლითაც მან მოუწოდა ევროპულ საბჭოს, განეხილა ბატონი ივანიშვილისთვის სანქციების დაწესება. ბანკი განმარტავს, თითქოსდა, ხსენებულმა რეზოლუციამ წარმოშვა ბანკის მხრიდან რეგულატორული ვალდებულებები და რომ ტრასტი თავის მოქმედებებს აღარ განახორციელებს სასამართლოს თანხმობის გარეშე. საუბარია სასამართლოს იმ თანხმობაზე, რომლის მისაღებად პროცესის ინიცირება უკეთეს შემთხვევაში ამა წლის სექტემბერში თუ მოხდება, ხოლო მისი შედეგის დადგომა, ბანკის მეცადინეობით, ტრადიციულად, უსასრულოდ გაჭიანურდება.

ბანკის ეს გზავნილი არის როგორც სამართლებრივ, ასევე, ფინანსური ინსტიტუტების პრაქტიკაში უპრეცედენტო, რომლის მსგავსი მოვლენა არათუ შვეიცარიის დონის, არამედ განვითარებადი სახელმწიფოებისთვისაც კი უცხო და შეუფერებელია. აშკარაა, რომ ბანკის მენეჯმენტი თვითდაზიანების რეჟიმში იმყოფება და არად დაგიდევთ არათუ უშუალოდ ბანკის იმიჯს, არამედ ლახავს შვეიცარიული სახელმწიფოს ავტორიტეტსაც. მეტიც, რჩება განცდა, რომ ბანკის მმართველი რგოლი ამგვარ თავზეხელაღებულ, ბანკის რეპუტაციის დამანგრეველ მოქმედებებს შეგნებულადაც კი მიმართავს, რადგან ამგვარი მოქმედებები სხვა რაციონალური ან ლოგიკური არგუმენტით ვერ საბუთდება.

ბანკი თავის გზავნილში ეყრდნობა მარტოოდენ ევროპარლამენტის რეზოლუციას, რომელიც, როგორც საზოგადოებისთვისაც კარგად არის ცნობილი, სარეკომენდაციო ხასიათისაა და არანაირ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. ბანკის მითითება აბსტრაქტულ „რეგულატორულ ვალდებულებებზე“ უადგილოა, მით უმეტეს, რომ ბანკმაც და საზოგადოებამაც კარგად უწყის, რომ ევროკავშირის არცერთმა აღმასრულებელმა ორგანომ: არც ევროკომისიამ და არც ევროპულმა საბჭომ არ გაიზიარა სანქცირების შესახებ რეკომენდაცია. ის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ევროპარლამენტის რეზოლუციის გაგრძელებას და რომლითაც საქართველოს ევროპული პერსპექტივის აღიარება მოხდა, არის სწორედ აღნიშნულის დასტური, რადგან ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოებს პარლამენტის რეზოლუცია რომ გაეზიარებინათ სანქცირების ნაწილში, მაშინ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებაში მოხდებოდა მისი ასახვა, რაც, როგორც ცნობილია, არ მომხდარა. ამით, პრაქტიკულად, საკითხი ამოწურულია. მიუხედავად ამისა, ბანკი უბრუნდება ერთი თვის წინანდელ რეზოლუციას და მასზე, როგორც მოქმედ დოკუმენტზე ისე საუბრობს. საინტერესოა, თუ რამდენ ხანს აპირებს ბანკი გააკეთოს მითითება იმ დოკუმენტზე, რომელიც არ იქნა გაზიარებული ევროკავშირის რომელიმე აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სულ რომც სანქცირებული იყოს ბატონი ივანიშვილი, ეს ტრასტის ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ არ აქრობს. პირიქით, ტრასტის მიზანი კლიენტის ინტერესების მომსახურებაა იმ პირობებშიც კი, როდესაც ბენეფიციარი რაიმე სამართლებრივ შეზღუდვას ექვემდებარება. სატრასტო სტრუქტურები ხომ სწორედ კლიენტთა აქტივებისა და ინტერესების დაცვის მიზნებისთვისაა შექმნილი, მათ შორის, ბენეფიციართათვის რთულ დროს.

კლიენტისთვის აშკარაა, რომ ბანკის მოქმედებები კლიენტზე პოლიტიკური ზეწოლის მოხდენის მიზანს ემსახურება, რომლის დეტალებზეც, საჭიროებისამებრ, თავად ისაუბრებს ბატონი ივანიშვილი.

ამჯერად კი ბანკის ყოფილი კლიენტი, რომელსაც გულწრფელი სიმპათიები გააჩნია შვეიცარიული სახელმწიფოს მიმართ, ურჩევს და მოუწოდებს შვეიცარიელ კანონმდებლებსა და შვეიცარიულ მარეგულირებელ ორგანოებს, სასწრაფო რეაგირება მოახდინონ ბანკისა და მისი მენეჯმენტის მოქმედებებზე და მოაქციონ იგი სამართლებრივ და საფინანსო სექტორის ლოგიკის ჩარჩოებში და ეს გააკეთონ მანამ, სანამ ჯერ კიდევ ძალიან გვიანი არ არის“.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეხება შვეიცარიულ სისტემურ ბანკს, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი წარმოადგენს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, ხოლო ადრესატებს წარმოადგენენ შვეიცარიელი კანონმდებლები და საბანკო მარეგულირებელი, არცერთმა წამყვანმა შვეიცარიულმა მედიამ საშუალებამ — არც გაზეთმა, არც ტელევიზიამ და არც რადიომ — არ ისურვა ზემოაღნიშნული შინაარსის შემცველი ტექსტის გამოქვეყნება ან სხვაგვარად გამოხმაურება. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საუბარი არ არის ბ-ნი ივანიშვილის წარმომადგენელთა პოზიციის უპირობოდ გაზიარებასა და უცვლელად გამოქვეყნებაზე. საუბარია ჩვენს თხოვნასა და შეთავაზებაზე, მედიას თავადაც მოეკვლია საკითხი, დარწმუნებულიყო ჩვენ მიერ მითითებული ფაქტების უტყუარობაში, გადაემოწმებინა, თუნდაც, სამართლებრივი გამართულობა ბანკის პოზიციისა და, მოესმინა ბანკის დამოკიდებულება საკითხისადმი. შესაბამისად, სტატია თუ სიუჟეტი ყოველმხრივ, ობიექტურ მონაცემებს დაეფუძნებოდა. ჩვენი მხრივ, დაფიქსირებული გვქონდა და გვაქვს მზაობა, რომ ნებისმიერ შვეიცარიულ მედია საშუალებას მივაწოდოთ საჭირო ინფორმაცია და მონაცემები.

მიუხედავად ამ მზაობისა და მედია თავისუფლებისადმი სრული პატივისცემისა, ჩვენთვის საკვირველია, რომ არ მოიძებნა არცერთი შვეიცარიული მედია საშუალება, რომელიც შვეიცარიული საბანკო სისტემისა და სახელმწიფოსთვის ამ მნიშვნელოვან გზავნილებს გაახმოვანებდა მისთვის მისაღები ფორმით და სათანადო პროცედურების დაცვით. მედიის მხრიდან საკითხით დაუინტერესებლობას, ამავე თემის უმნიშვნელობას ან მეორეხარისხოვნებას ვერ მივაწერთ, რადგან მსგავსი საკითხები შვეიცარიაში ყოველთვის მედია-ფოკუსშია. უფრო მეტიც, შვეიცარიული მედია ჩვენი ჩართულობითაც და თავადაც, ჩვენგან დამოუკიდებლად, ყოველთვის უყოყმანოდ აქვეყნებდა კრიტიკულ, ნეგატიური შინაარსის შემცველ სტატიებს შესაბამის ბანკთან დაკავშირებით. მოცემულობა შეიცვალა, როდესაც საუბარი შეეხო ბანკის მენეჯმენტის მიერ თვითდაზიანების რეჟიმში ყოფნასა და ჩვენ მიერ გამოთქმულ ეჭვს - ხომ არ იყო ბანკის მოქმედებებში სხვა საფუძველი ან რაიმე ინტერესი. აქედან გამომდინარე, წარმოიშვება ლოგიკური დასკვნა, რომ ათზე მეტი გამომცემლობის, ტელევიზიისა და რადიოს მიერ უნისონში გამოთქმული ზრდილობიანი უარის მიღმა შეიძლება სხვა საფუძველი არსებობდეს, რაც მორიგი სამწუხარო, იმედგამაცრუებელი სიგნალი იქნებოდა შვეიცარიიდან“, — აღნიშნულია იურიდიული ფირმის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის დაწვა 500-დან 1 300 ლარამდე ჯარიმით ისჯება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოსახლეობას აფრთხილებს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის გადაწვის მავნე პრაქტიკა, რომელსაც სამწუხაროდ, ფერმერები დღემდე იყენებენ, საფრთხეს უქმნის ქარსაფარ ზოლებს და ტერიტორიის ახლომდებარე ინფრასტრუქტურას; იწვევს ნიადაგის თვისებების გაუარესებას, ნაყოფიერების დონის შემცირებას და საბოლოოდ, ნიადაგის დეგრადაციას; ფერმერებისგან გაჩენილი ხელოვნური ხანძრები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს, ბიომრავალფეროვნებას, იწვევს გაუდაბნოებას.

შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მცენარეული ნარჩენის გადაწვა კანონით აკრძალული ქმედებაა. სამართალდარღვევა, გარემოებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს 500-დან 1300-ლარამდე ჯარიმას, რასაც გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხაც ემატება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები მკაცრად გააკონტროლებენ იმ ტერიტორიებს, სადაც მსგავსი ქმედების ჩადენის რისკი არსებობს. სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

შელავათებით ისარგებლებენ!

თბილისის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებმა ე.წ. დეზერტირების ბაზრისა და სადგურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიიდან გარევაჭრობისთვის განკუთვნილი უნებართვო კონსტრუქციები გაიტანეს. თბილისის მერიის ინფორმაციით, ტერიტორია გასუფთავდა ცაბაძის, თევდორე მღვდლის, აბასთუმნის, წინამძღვრიშვილის ქუჩებზე, ასევე, წერეთლისა და თამარ მეფის გამზირების ნაწილზე.

ტერიტორია შპს „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებმა დაასუფთავეს, რის შემდეგაც ქუჩები და ტროტუარები სპეციალური ქაფით მოირეცხა. მუნიციპალურმა ინსპექციამ მოვაჭრეები წინასწარ რამდენჯერმე გააფრთხილა, უნებართვო სამეწარმეო საქმიანობა შეეწყვიტათ. გარემოვაჭრეებს საშუალება ექნებათ, ახლომდებარე ბაზრობებზე სპეციალურად გამოყოფილ სავაჭრო სივრცეებში გადაინაცვლონ. ისინი სპეციალური საშეღავათო პირობებით ისარგებლებენ.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის 16 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ვიქტორ კაკაშვილის (პ/ნ 01003008838) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.03.51.133) მთლიანი ფართობის - 3 124 კვ. მეტრის ნაწილი - 537 კვ. მეტრი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (ღობე, საწამლი) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 13 ივლისის 1-1/305 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.03.51.172) მთლიანი ფართობის - 1 453 კვ. მეტრის ნაწილზე - 247 კვ. მეტრზე და მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის 16 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ვიქტორ კაკაშვილის (პ/ნ 01003008838) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.03.51.133) მთლიანი ფართობის - 3 124 კვ. მეტრის ნაწილი - 537 კვ. მეტრი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (ღობე, საწამლი) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 13 ივლისის 1-1/305 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ საქობოში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.03.51.133) მთლიანი ფართობის - 3 124 კვ. მეტრის ნაწილზე - 537 კვ. მეტრზე, მასზე არსებულ შენობა-ნაგებობასა (ღობე, საწამლი) და მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის 16 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე თეიმურაზ ნანობაშვილის (პ/ნ 01012021420) (შემდგომში - მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ ვაქირში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.02.52.243) მთლიანი ფართობის 2 661 კვ. მეტრის ნაწილი - 1 439 კვ. მეტრი და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავებზე (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 13 ივლისის 1-1/305 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ ვაქირში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.02.52.243) მთლიანი ფართობის 2 661 კვ. მეტრის ნაწილზე - 1 439 კვ. მეტრზე და მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ �კᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲚᲔᲥᲡᲘᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲖᲠᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓᲐᲪ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓᲐᲪ ᲬᲚᲔᲑᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲘᲛᲩᲜᲔᲕᲡ. ᲐᲛ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲡ ᲪᲮᲐᲓᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐᲡ ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ.

ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲞᲝᲔᲢᲡ ᲙᲘ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲝᲗᲮᲯᲔᲠ ᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲮᲛᲐ ᲘᲡᲛᲘᲡ. ᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲝᲗᲮᲯᲔᲠ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲐ.

ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ

ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ — ᲜᲐᲢᲕᲠᲘᲡᲗᲕᲐᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲐᲜᲐ ᲐᲛᲝᲕᲚᲝᲪᲔ!..

ᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲙᲚᲓᲔᲑᲘ, ᲜᲔᲢᲐᲕᲘ, ᲗᲕᲐᲚᲨᲘ,
ᲠᲝᲪᲐ ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲐᲚᲔᲑᲡ,
ᲬᲐᲛᲝᲕᲐ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲚᲘᲗ
ᲓᲐ ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲪ ᲩᲐᲘᲩᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ.
* * *
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ —
ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲚᲝᲛᲘ!
ᲓᲐ ᲘᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ, — ᲒᲐᲛᲘᲫᲔᲚᲘᲗ,
ᲗᲣ ᲮᲐᲠᲗ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ!

ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ
ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ,
ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ
ᲘᲡᲛᲘᲡ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ.

ᲡᲐᲑᲐ

ᲗᲐᲤᲚᲘᲡ ᲡᲣᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲑᲐᲜᲡ,
ᲐᲥ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲪ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲘᲐ.
ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲨᲘᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑ ᲡᲐᲑᲐᲡ,
�გᲣᲚᲘ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲡᲠᲣᲚᲘᲐ.
ᲗᲣᲛᲪᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲡᲬᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲓᲔᲚᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ,
ᲐᲦᲐᲠ ᲣᲙᲠᲗᲝᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲡ ᲛᲫᲘᲛᲔᲡ.
ᲨᲘᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲓᲐᲦᲚᲘᲚᲘ ᲒᲖᲐᲨᲘ,
ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲐᲡᲚᲝᲑᲠᲝᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲡ.
ᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲡ, ᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲡ,
ᲡᲘᲛᲬᲠᲘᲗ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡ
ᲓᲐ ᲨᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ,
ᲗᲣᲛᲪ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲔᲜᲓᲜᲔᲜ.
ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲛᲛᲐᲢᲔᲑᲡ,
ᲒᲯᲠᲛᲜᲝᲑ, ᲛᲘᲡᲘ ᲕᲐᲚᲘ ᲝᲠᲛᲐᲒᲐᲓ ᲛᲐᲓᲔᲕᲡ
ᲓᲐ ᲛᲐᲡ, ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲔᲕ ᲮᲐᲢᲐᲓ.
ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲕᲐᲓᲒᲘᲕᲐᲠᲗ ᲠᲐᲗᲐ,
ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲤᲘᲥᲠᲡ ᲒᲕᲘᲮᲐᲕᲔᲠᲓᲔᲑᲡ
ᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲛᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲩᲔᲜᲡ ᲕᲐᲕᲔᲓᲠᲔᲑᲗ.
* * *
ᲕᲣᲛᲘᲖᲜᲔᲑ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲕᲔᲡᲕᲠᲘ ᲪᲘᲪᲐᲠᲡ,
ᲕᲘᲜᲪ ᲛᲢᲠᲔᲓᲡ ᲐᲠ ᲔᲡᲕᲠᲘᲡ, ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘ
ᲓᲐ ᲮᲝᲮᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲘᲚ ᲘᲡᲐᲠᲡ
ᲛᲘᲐᲥᲕᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ.
ᲜᲐᲠᲘᲧᲐᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲮᲐᲠᲝᲑᲡ ᲔᲜᲔᲚᲐ,
ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გᲛᲐ ᲡᲢᲧᲝᲠᲪᲜᲐ ᲘᲡᲐᲠᲘ,
ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲓᲘ ᲛᲔᲫᲜᲔᲚᲐ,
ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲕᲔ, ᲐᲠᲪ ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲘ.
ᲐᲛᲝᲕᲘᲖᲐᲠᲓᲔ ᲚᲔᲠᲬᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲓᲐᲜ,
ᲚᲔᲠᲬᲛᲘᲡ ᲧᲚᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲕᲘᲖᲐᲠᲓᲔ.
ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲐ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲐ,
ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲡᲔ ᲕᲘᲥᲪᲔ ᲛᲘᲬᲐᲓᲕᲔ.
ᲐᲛᲝᲕᲘᲖᲐᲠᲓᲔ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ
ᲛᲗᲘᲡ ᲩᲐᲜᲩᲭᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲭᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ!
ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲬᲘᲓᲐᲜ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ...
ᲪᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲛᲡᲮᲕᲠᲘᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ,
ᲩᲔᲛᲘ ᲝᲔᲛᲘᲓᲐ ᲪᲘᲡ ᲗᲐᲓᲦᲔᲑᲘᲓᲐᲜ
ᲐᲠ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ,
ᲐᲮᲚᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲛᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ
ᲔᲡ ᲛᲘᲛᲝᲖᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲡ!

ᲓᲒᲐᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ...

„ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲘᲗ, „ᲛᲝᲫᲛᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲗ
ᲛᲔᲚᲐᲪᲘᲪᲔᲑᲐ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲝᲠᲞᲘᲠᲘ...
ᲓᲐ „ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲜᲐᲮᲘ ᲘᲔᲠᲘᲗ,
ᲮᲔᲚᲔᲑᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲛᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲪᲑᲘᲔᲠᲘ!

ᲮᲐᲜ ᲙᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲠᲘᲓᲘᲗ,
ᲛᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲗᲕᲐᲚᲗᲛᲐᲥᲪᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲤᲚᲘᲓᲘ.
ᲧᲐᲚᲑᲘ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲗ, ᲧᲐᲚᲑᲘ ᲘᲔᲠᲘᲗ
�გᲣᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲨᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲗᲘᲔᲚᲘ.

ᲛᲘᲦᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘᲡ
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲚᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲠᲞᲘᲠᲘ...
ᲓᲐ ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲘᲗ, ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ, ᲛᲐᲠᲐᲓ
ᲓᲒᲐᲡ ᲔᲠᲝᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ... ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲚᲐᲕᲡ.

ᲐᲠ ᲠᲔᲙᲐᲕᲓᲐ ᲖᲐᲠᲘ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲗ

Ე. Შ.-Ს

ᲐᲠ ᲠᲔᲙᲐᲕᲓᲐ ᲖᲐᲠᲘ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲗ,
ᲗᲣᲛᲪ ᲕᲘᲪᲐᲕᲓᲘᲗ ᲛᲐᲛᲣᲚᲡ ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲗ,
ᲣᲡᲐᲡᲠᲣᲚᲝ ᲛᲗᲔᲑᲖᲔ ᲭᲘᲠᲮᲚᲘ ᲘᲬᲕᲐ...
ᲖᲦᲕᲐ ᲦᲔᲚᲐᲕᲓᲐ ᲛᲗᲐᲗᲐ ᲤᲔᲠᲮᲗᲘᲗ,
ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ, —
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲘᲬᲐ!
ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ ᲐᲠᲪ ᲣᲠᲣᲡᲘ,
ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲪᲐᲡ ᲑᲣᲠᲣᲡᲘ
ᲐᲙᲠᲐᲕᲡ...
ᲐᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲐᲥ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, —
ᲗᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ,
�გᲐᲘᲧᲘᲓᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲐ!
ᲐᲠᲪ ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲐᲓ ᲯᲐᲠᲔᲑᲡ ᲣᲮᲛᲝ,
ᲨᲔᲔᲒᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲡ ᲣᲮᲛᲚᲝᲓ,
ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲪᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲐ ᲛᲝᲘᲬᲘᲬᲐ?
ᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲥᲐᲠᲘ ᲛᲙᲔᲠᲓᲘᲗ,
ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ, —
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ-ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲬᲐ!
ᲐᲠᲪ ᲛᲖᲔ ᲛᲖᲔᲝᲑᲡ ᲔᲡ ᲢᲘᲐᲚᲘ,
ᲓᲐᲘᲦᲐᲚᲐ ᲮᲔᲢᲘᲐᲚᲘᲗ
ᲔᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ — ᲓᲐᲓᲘᲡ ᲐᲦᲛᲐ-ᲓᲐᲦᲛᲐ,
ᲐᲠᲪ ᲖᲦᲕᲐ ᲛᲝᲡᲩᲐᲜᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲛᲔᲓᲐᲓ,
ᲠᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲛᲔᲢᲐ
ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲐᲚᲮᲛᲐᲪ!
ᲕᲔᲠᲪ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲗ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ,
ᲕᲔᲠᲪ ᲛᲐᲡ ᲕᲘᲛᲙᲘᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲗᲔᲡᲐᲕᲗ,
ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲑᲣᲠᲣᲡᲘᲐ ᲐᲮᲚᲐ...
ᲙᲕᲜᲔᲡᲘᲡ ᲗᲔᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ!
ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲒᲕᲡᲓᲔᲕᲡ ᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ ᲢᲧᲕᲘᲐ,
ᲠᲝᲛ ᲒᲕᲐᲢᲧᲕᲘᲐ
ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲦᲐᲓ!
ᲕᲔᲠᲪ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲕᲨᲕᲔᲚᲘᲗ,
ᲕᲘᲡ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ,
ᲓᲐᲕᲐᲚᲗ ᲐᲡᲔ ᲮᲔᲚᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ
ᲓᲐ ᲕᲐᲠᲗ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲗᲐᲜ!

ᲛᲝᲕᲐ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲓᲐ...

ᲥᲐᲠᲘ ᲧᲘᲟᲘᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲬᲧᲓᲐ ᲒᲖᲐᲨᲘ —
ᲛᲗᲐᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲠᲔᲕᲡ,
ᲛᲝᲕᲐ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲬᲐᲨᲚᲘᲡ
ᲩᲔᲛᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲜᲐᲬᲔᲮᲣᲠᲔᲑᲡ!..

ᲚᲝᲪᲕᲐ ᲒᲣᲚᲨᲘᲪ ᲥᲐᲠᲘ ᲥᲠᲝᲓᲐ

„ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ, ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ, ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ...
ᲯᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ...“ Შ. ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ᲝᲓᲔᲡ �გᲣᲚᲨᲘᲪ ᲥᲐᲠᲘ ᲥᲠᲝᲓᲐ
ᲓᲐ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲝᲓᲔᲜ,
ᲩᲔᲛᲘ ᲥᲝᲮᲘᲪ ᲥᲐᲠᲡ ᲛᲘᲥᲝᲜᲓᲐ,
ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ ᲥᲠᲝᲓᲜᲔᲜ.
ᲠᲐ ᲛᲘᲡᲘᲘᲗ ᲛᲝᲕᲓᲘᲝᲓᲘ,
ᲐᲛ ᲛᲘᲡᲘᲐᲡ ᲐᲜ ᲠᲐ ᲔᲠᲥᲕᲐ,
ᲝᲓᲘᲗ, ᲝᲓᲘᲗ, ᲝᲓᲘᲗ, ᲝᲓᲘᲗ...
ᲕᲘᲜ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲐᲜ ᲠᲐ ᲛᲔᲠᲥᲕᲐ?!
ᲕᲘᲜ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲐᲜ ᲠᲐ ᲛᲔᲠᲥᲕᲐ,
ᲐᲜ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲝᲥᲕᲐ?
ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ
ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ?
ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲨᲮᲐᲛᲘ ᲛᲐᲡᲕᲔᲡ,
ᲗᲣᲛᲪ ᲕᲐᲗᲔᲜᲔ ᲗᲔᲗᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲔ,
ᲠᲝᲛ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ, ᲩᲔᲛᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲗ
ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲠᲐᲛᲔ?
ᲗᲣ ᲥᲣᲮᲘᲚᲘ ᲨᲔᲫᲠᲐᲕᲡ ᲮᲠᲐᲛᲔᲑᲡ
ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ?
ᲠᲐᲓ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲐᲛ ᲜᲐᲬᲐᲛᲔᲑ
ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ, ᲜᲔᲢᲐᲕ, ᲠᲘᲡᲐᲓ?
ᲐᲜ ᲠᲐ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲓᲐ,
ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲠᲐ ᲛᲝᲛᲥᲝᲜᲓᲐ,
ᲐᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐ ᲛᲐᲙᲘᲡᲠᲘᲐ ᲓᲐ
ᲐᲜ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲘᲗ ᲥᲠᲝᲓᲐ?
ᲛᲔᲞᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ ᲑᲝᲡᲚᲘᲗ,
ᲗᲘᲗᲥᲝᲡ �გᲣᲚᲨᲘᲪ ᲥᲐᲠᲘ ᲘᲫᲠᲐ,
ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ
ᲠᲐ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲛᲐ ᲒᲐᲘᲓᲕᲘᲫᲐ?
ᲠᲐ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘ
ᲗᲣᲙᲘ ᲗᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲐᲛᲘᲮᲠᲘᲓᲜᲔᲜ
ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘ ᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲘᲗ
ᲞᲘᲠᲖᲔ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲘᲧᲠᲘᲓᲜᲔᲜ!
ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲥᲝᲜᲓᲐ,
ᲨᲔᲜᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲕᲙᲝᲪᲜᲔ,
�გᲣᲚᲨᲘᲪ ᲨᲔᲜᲘ ᲥᲐᲠᲘ ᲥᲠᲝᲓᲐ,
ᲕᲚᲝᲪᲔ, ᲕᲚᲝᲪᲔ, ᲕᲚᲝᲪᲔ, ᲕᲚᲝᲪᲔ
ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ — ᲜᲐᲢᲕᲠᲘᲡᲗᲕᲐᲚᲘ
ᲫᲘᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲛᲝᲕᲚᲝᲪᲔ!
ᲠᲝᲪᲐ �გᲣᲚᲨᲘᲪ ᲥᲐᲠᲘ ᲥᲠᲝᲓᲐ
ᲓᲐ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲝᲓᲔᲜ,
ᲨᲐᲕᲘ ᲨᲐᲨᲕᲘ ᲛᲝᲛᲫᲐᲮᲝᲓᲐ:
„ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ!.. ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ!..“

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲤᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲕᲘᲮᲝᲛᲑᲡ...

ᲩᲔᲛᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲛᲔᲚᲡ ᲗᲣ ᲨᲔᲡᲬᲓᲔᲑᲐ
ᲠᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲕᲘᲜᲛᲔ?
ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲚᲘᲡ
ᲤᲠᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲫᲚᲔᲣᲚᲘ.
ᲕᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲔᲕᲐ ᲖᲔᲪᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲡ,
ᲬᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲔᲨᲛᲐ,
ᲩᲔᲛᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲓᲔᲣᲚᲘ.
ᲩᲔᲛᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲛᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲬᲓᲔᲑᲐ,
ᲛᲔ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ, ᲕᲔᲠᲕᲘᲜ,
ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲠᲙᲛᲔᲚᲗᲐᲜ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ!
ᲐᲠ ᲒᲐᲪᲠᲔᲪᲘᲚᲘᲐ ᲡᲣᲚᲘ - ᲒᲠᲫᲜᲔᲣᲚᲘ...
ᲑᲐᲕᲨᲕᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲠᲕᲔᲣᲚᲘ
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲮᲖᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲔᲕᲡ ᲚᲔᲥᲡᲐᲓ!
ᲓᲐ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲘᲡᲔᲕ, ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲨᲘ ᲬᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲔᲨᲛᲐ,
ᲔᲨᲛᲐ, ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ, ᲒᲐᲓᲐᲠᲔᲣᲚᲘ!
ᲓᲐ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲕᲪᲕᲚᲘ,
ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ ᲖᲔᲪᲐ - ᲪᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ...
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲤᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲕᲘᲮᲝᲛᲑᲡ,
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲒᲕᲙᲘᲗᲮᲝᲡ.
ᲨᲔᲙᲠᲗᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ. ᲨᲔᲙᲕᲔᲪᲘᲚᲘ, ᲨᲔᲭᲠᲘᲚᲘ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ
ᲛᲝᲒᲐᲥᲕᲡ, ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲠᲐᲛᲓᲔᲜᲔ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ...
ᲡᲮᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲮᲘᲚᲐᲕ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲔᲑᲡ ᲬᲕᲓᲔᲑᲘ,
ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲬᲐᲓᲘᲐ.
ᲬᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲔᲨᲛᲐ, ᲨᲔᲜᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲓᲔᲣᲚᲘ
ᲗᲣ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲣᲚᲘ - ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚ ᲤᲠᲔᲜᲐᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ!
ᲕᲔᲠᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲕ,
ᲓᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ ᲡᲣᲚᲘ... Ო, ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ ᲛᲖᲘᲡᲔᲑᲠ!
ᲛᲝᲓᲘᲮᲐᲠ, ᲛᲝ�გᲐᲥᲕᲡ ᲪᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲔᲣᲚᲘ!
ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ
ᲤᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲖᲔᲪᲘᲡ ᲣᲮᲘᲚᲐᲕ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲓ...
ᲓᲐ... ᲒᲘᲬᲕᲐᲕᲡ ᲗᲕᲐᲚ

აპა არს რა დაფარული...

...არავის შეძახილი არ მჭირდება, რომ თურმე ჩვენი ეკლესიები რუსებმა კირით გადალებეს... საქართველო სუვერენული ქვეყანაა, რომელმაც სისხლით მოიპოვა დამოუკიდებლობა

უმრავლესობის წევრი გია ცაგარეიშვილი ასახელებს სამ მიზეზს, რის გამოც ევროპარლამენტარები ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქად მოიხსენიებენ. მმართველი გუნდის წარმომადგენელი საუბრობს, თუ რატომ არ მოგვანიჭეს კანდიდატის სტატუსი და როგორ მოხდება იმ 12-პუნქტიანი მუხლიდან მთავარი მუხლების – დეპოლარიზაციისა და დეოლიგარქიზაციის შესრულება.

გია ცაგარეიშვილი:

ევროპის სახალხო პარტია კრიმინალ ნაციონალთა თავშესაფარია!

— ბოლო რამდენიმე დღეა „ქართული ოცნება“ როგორც პარლამენტის, ასევე საკრებულოს წევრებმა დატოვეს. ამ დროს ევროკავშირი ითხოვს დეპოლარიზაციას. იმ ფონზე, როდესაც მმართველ გუნდს მისი წევრები ტოვებენ ეს დეპოლარიზაციას ხელს ხომ არ შეუშლის?

— ეჭვი მეპარება ამ პროცესმა პოლარიზაცია გააღვივოს. ადამიანებს უნდოდათ აზრის გამოხატვა, რადგან მათი თქმით, პარტიული შინაგანაწესით შებოჭილები იყვნენ, ამიტომ გადაწყვიტეს პარტიიდან წასვლა. გავიდნენ და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ეს პროცესი ისედაც გამძაფრებულ პოლიტიკურ სიტუაციას კიდევ უფრო ვერ გაამწვავებს.

— კულუარებში საუბრობენ, რომ „ოცნება“ დაშლის პირასაა. მოსალოდნელია, რომ უმრავლესობის ამ წევრებს სხვებიც გაჰყვნენ?

— „ოცნებას“ 11 წელია, შლიან, მაგრამ ვერაფრით ვერ დაშალეს. პარტია საქმიანობას გააგრძლებს და მომავალი არჩევნებისთვის მოემზადება. 2024 წლამდე რთული გზა გვაქვს გასავლელი, ბოლომდე ვზიდავთ იმ ტვირთს, რომელიც 2012 წელს საზოგადოების წინაშე ვიკისრეთ. ასე რომ, მინდა ბევრს გავუცრუო იმედი, პარტია არ დაიშლება და უფრო გაძლიერდება.

— შიდა პოლიტიკის გარდა, მთავარი საკითხია ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რომელიც წლის ბოლოსთვის გახდებოდა ცნობილი, მოგვენიჭებოდა თუ არა, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ პროცესმა მომავალი წლის ოქტომბრამდე გადაიწია. როგორ ფიქრობთ, რა გახდა ამის მიზეზი?

— ამ ვადის დამდგენი ევროკომისია მიხვდა, რომ 6 თვე საკმაოდ მცირე დროა მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებისთვის, რომელიც ამ 12 პუნქტში მოიაზრება. გარკვეულწილად, საკმაოდ რთულ ვითარებაში აგდებდა ქვეყანას, ასევე პოლიტიკურ სპექტრს, მათ შორის ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ეს ყველაფერი კი ხელს არ უწყობდა პოლარიზაციის შემცირებას. ჩვენს მიმართ დაკისრებული ვალდებულებები, რა თქმა უნდა, შესრულდება. კალენდარი არ გადაიხედება, შევეცდებით, წლის ბოლომდე გამოქვეყნებულ კალენდარს მივყვეთ. რეკომენდაციების უმრავლესობას აღვასრულებთ და ევროსაჭოსა და ევროკომისიას წარვუდგენთ. თუ ამისთვის დრო მეტი გვექნება, ამაში ცუდს ვერაფერს ვერ ვხედავ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 2023 წლის ოქტომბრამდე საქართველო ყველა პირობას პირნათლად შეასრულებს. ამ ქვეყანაში, ადრე თუ გვიან, დაპირისპირება უნდა დასრულდეს. პოლიტიკურმა ლიდერებმა საკუთარ თავში ძალა უნდა გამონახონ და ერთმანეთთან საუბარს მიეჩვიონ. ევროპერსპექტივა და ევროკანდიდატის სტატუსი პარტიული მონაპოვარი არაა, ეს ქვეყნის მონაპოვარია. როდესაც ვიზალიბერალიზაცია მივიღეთ, ვამბობდით, რომ ეს ყველასთვის მოპოვებული სიკეთეა. უვიზო მიმოსვლით ისარგებლა ყველამ.

— როგორც მმართველი გუნდის წევრი, როგორ ფიქრობთ, რა გახდა რეალური მიზეზი იმისა, რომ უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად კანდიდატის სტატუსი არ მოგვანიჭეს?

— ნამდვილად უსამართლო მოპყრობაა, როდესაც უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსს აძლევენ და ჩვენ არა. განსაკუთრებით არ დავმალავ და გამიკვირდა მოლდოვასთან დაკავშირებით. ევროკავშირის რამდენიმე ლიდერმა აღნიშნა, რომ უკრაინას კანდიდატის სტატუსი მიენიჭა იმიტომ, რომ იგი ახლა უსამართლო ომშია ჩართული. რაც შეეხება მოლდოვას, აქაც იყო მიზეზები მოყვანილი, რომ ძალიან დიდი საემიგრაციო ტალღის წინაშე დადგა. თითქმის ნახევარ მილიონზე მეტმა უკრაინელმა მოლდოვის რესპუბლიკას შეაფარა თავი. აქაც ვითომ და ეს მიზეზი იყო მოყვანილი. ჩვენ კი ევროპული პრესპექტივა მოგვანიჭეს. არა და, ყველა რეფორმის მიმართულებით – სასამართლო რეფორმიდან დაწყებული, საჯარო მმართველობის რეფორმით დასრულებული, ორივე ქვეყანას ვუსწრებთ. არამარტო ამ ორ ქვეყანას, არამედ ბევრ ევროპულ ქვეყანას და ეს ყოველწლიურ რეიტინგებში არის ასახული. რეიტინგებს კი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები აქვეყნებენ, როგორიც არის მსოფლიო ბანკი, გაეროს ორგანიზაციები და ა.შ. ასე რომ, მართლაც უსამართლო მოპყრობაა. პირდაპირ გეტყვით, იბადება ეჭვები, რომ სხვა მიზეზებიც არსებობს. ამგვარი ეჭვები რომ გაქარწყლდეს, ეს წუნი უნდა გამოსწორდეს და ევროპულ ოჯახში საქართველომ ღირსეული კუთვნილი ადგილი დაიკავოს. ეს არის ისტორიული ადგილი, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის. არავის დასაყვედრებელი არაფერი გვაქვს. საქართველომ ამ 32 წლის მანძილზე თავისიც იომა, მსხვერპლიც გაიღო, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სახელწიფოებრიობა შეენარჩუნებინა და აქამდე მოეტანა. რუსეთის ფედერაციასთან რამდენი ომი გადავიტანეთ, არავის მტკიცება არ გვჭირდება, თუ ვინ არის ჩვენი მტერი. არც ერთი დიპლომატის შეძახილი არ მჭირდება, რომ თურმე ჩვენი ეკლესიები თავის დროზე რუსებმა კირით გადაღებეს, თურმე ავტოკეფალია წაგვართვეს, თურმე და თურმე... ამის შეხსენება არავისგან არ მჭირდება, რადგან ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი. ამიტომ არ გვინდა არც დაყვედრება და არც თითის აწევა. საქართველო არის სუვერენული ქვეყანა, რომელმაც სისხლით მოიპოვა დამოუკიდებლობა. ძალიან უგუნური სანახავია ბევრი ადამიანისგან ხელისუფლების დამხობისკენ პირდაპირი მოწოდება, განსაკუთრებით ევროპარლამენტის ზოგიერთი წევრისგან, რომლებმაც ხაბეიშვილსაც კი გადააჭარბეს. ვინმე კუბილიუსი, რომლის დამოძღვრაც ზღვარს გადავიდა... მისგან პირდაპირ იყო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება. ამას აკეთებს ევროპარლამენტარი, ეს ხომ გაუგებარი რამაა.

— გარედან ასეთი მოწოდებები ქვეყნის შიგნით ვითარებას ხომ არ არევს და შეუშლის ხელს დეპოლარიზაციას?

— რა თქმა უნდა, ეს ხელს არ უწყობს სიტუაციის განმუხტვას. იმ ინსტიტუტის წარმომადგენლები, რომელიც ორი კვირით ადრე გვეუბნებიან პოლარიზაცია დაასრულეთო, ორი კვირის თავზე კუბილიუსი და რასა იუკნევიჩიანე ოპოზიციას მოუწოდებენ, რომ ხალხი ქუჩაში გამოიყვანეთ და ხელისუფლება დაამხეთ, ეს რაში წერია? რა თქმა უნდა, ეს პოლარიზაციას გააღრმავებს. ჩვენს ოპოზიციაზე კი რისი თქმა შეიძლება – „ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდა“. სააკაშვილი ბინძური კონტეინერით შემოაპარეს, რადგან გადატრიალებას ლამობდნენ, მაგრამ ესეც არ გამოუვიდათ. ბოლოს წაბრძანდნენ ევროპის დედაქალაქებში და იქ ენების ჩატანით, გაუკუღმართებული ინფორმაციის მიწოდებით ცდილობენ არეულობის მოწყობას. მესმის, რომ ზოგი პარლამენტარის ენას ძვალი არ აქვს. ჩვენი საქმე ასეა – „შეძახილმა ხე გაახმოო“. ევროპაში წარმოდგენა შეექმნათ, რომ არიქა, აქ ხელისუფლებას ოლიგარქი მართავს. ასეთი პირდაპირი შეტევა საქართველოზე, გაუგონარი ამბავია.

— მოვისმინეთ, რომ ივანიშვილზე სანქციები უნდა დაწესდეს. ეს ევროპარლამენტარები ივანიშვილს აქამდე ოლიგარქად რატომ არ იხსენიებდნენ, რაში დასჭირდათ დღეს ამის ხსენება და მასზე სანქციების დაწესება?

— არც 2012 წლამდე და არც მერე არ საუბრობდნენ, როდესაც ივანიშვილი ქვეყნისთვის უამრავ რამეს აკეთებდა – ქართულ პოლიციას, ჯარს ეხმარებოდა, სკოლებსა და პოლიციის შენობებს აშენებდა, ეს ყველაფერი სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კეთდებოდა. სააკაშვილისთვის კი არა, ქვეყნისთვის აშენებდა. მაშინ რატომღაც მას ოლიგარქს არავინ ეძახდა. პირიქით, ექსპრეზიდენტი თვალებში შესციცინებდა და სთხოვდა, რომ უფრო მეტი ინვესტიცია ჩაედო.

რატომ გახდა დღეს ივანიშვილი ოლიგარქი? შემიძლია რამდენიმე ვერსია დავასახელო.

პირველი – **დავუკავშირო სააკაშვილის დაკავებას. ეს ადამიანი კრიმინალია და ციხეში უნდა იყოს. მისი პატრონები მიხვდნენ, რომ იგი სასჯელს ვერ ასცდება. ახლა გადაწყვიტეს ყველა საშუალებით ბელადის გამოხსნა. დაიწყეს ხალხთან და ხელისუფლებასთან დაპირისპირება. სააკაშვილმა „ქართული ოცნების“ წინაშე კი არ ჩაიდინა დანაშაული, არამედ ქართველი ხალხის წინაშე! მან დაარღვია საქართველოს კანონი. იგი ივანიშვილის პატიმარი არაა. ეს ხელისუფლება წავა და ის კიდევ პატიმრობაში იქნება. ეს არის პირველი მიზეზი, რის გამოც ივანიშვილს ოლიგარქად მოიხსენიებენ.**

მეორე მიზეზი – **ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრი, სადაც საკმაოდ მსუყე შენატანი შეაქვს. როდესაც შენს პარტიას საერთო სალაროში დიდი შენატანი აქვს და ამ დროს ითხოვ დახმარებას, იქ უკვე აღარ აკვირდები, სამართლიანი თუ უსამართლო საქმისთვის ითხოვს. არადა, წესით, უნდა გაარკვიონ, რათა ევროპული პარტია, თანაც „სახალხო“ კრიმინალების თავშესაფრად არ გადააქციონ. „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპის სახალხო პარტია“ მიხვდნენ, რომ არც 2024 წლის არჩევნებში არ უწერიათ კარგი ბედი და ისინი ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიან.**

მესამე მიზეზი – **ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ძალიან ბევრ ადამიანს უნდა საქართველოს ომში ჩართვა. ეს არ არის ყურით მოთრეული თემა...**

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ საშინელ ომში არ ჩავერიოთ და სიმშვიდე შევინარჩუნოთ.

ქეთი გიორგაძე

ალეკო ელისაშვილი: რიგგარეშე სხდომის მოწვევას ხელი არ მოვაწერეთ, ოპოზიციას ვეუბნებოდით, რომ ეს სიცანცარე იყო...

რიგგარეშე სხდომის მოწვევას ხელი **არ მოვაწერეთ, ოპოზიციას ვეუბნებოდით, რომ ეს სიცანცარე იყო, ოპოზიციის სიცანცარის გამო, „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ გამარჯვებული გამოვიდა,** –ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

„რიგგარეშე სხდომის მოწვევას ხელი არ მოვაწერეთ, ოპოზიციას ვეუბნებოდით, რომ ეს სიცანცარე იყო. მათ ვუთხარით, როგორ უნდოდათ, საკონსტიტუციო ცვლილებები გამოეტანათ, თუ „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებული არ იყო, რადგან 113 ხმა უნდა. ოპოზიციის ხმები რომ გაამრავლო, მაინც არ ეყოფოდა. რატომ აკეთებენ ამას? კი ბატონი, პოლიტიკაა და შოუს ელემენტებს შეიცავს, მაგრამ მხოლოდ შოუ ხომ არ უნდა იყოს? გუშინ, ხალხს რა ვაჩვენეთ, „ქართულ ოცნებას“ ნიღაბი ჩამოვხსენით? ოპოზიციის სიცანცარის გამო, „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ გამარჯვებული გამოვიდა, ცოტა მეტი სერიოზულობა გვმართებს“, – აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

„ძალიან თავხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



– ეკრე იცყოდ ოჩრიდრის ნოკეშე

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

ზნეობა

ზნეობის დამორჩილება შეიძლება რომ მონური იყვეს, აგრეთვე ფუჭი, თავგანწირული, სულელურად აღფრთოვანებული ანდა უაზრო, ანდა სასოწარკვეთილების აქტი, თვითონ კი მორჩილებაში არცრაა ზნეობრივი.

* * *

ზნეობას ცვლიან და იმის სახეცვალებაზე ის ადამიანები ირჯებიან, ვინც წარმატებით აკეთებს ყველაფერს, რასაც მოისურვებენ, რა საქციელისანიც არ უნდა იყვნენ.

* * *

სუყოველ წესსა და რიგს, რასაც ადამიანი ზნეობრივს ეძახის, სინამდვილეში ინდივიდუალების შეზღუდვა აქვს მიზნად.

* * *

თანალმობა, უკეთუ ის ნამდვილად აჩენს ტანჯვას, არის არა სხვა რამ, თუ არა სისუსტე, რამეთუ ის ზრდის ტანჯვას ამასოფლად.

* * *

მხატვრულ ზნეობას იმ ზნეობას უხმობენ, რომელსაც აქვს სწრაფად ამოღვრის აფექტები, მკვეთრი გადასვლები, პათეტიკური, ძლიერი, საშინელი, სალაღობო მოძრაობანი და მგერები. ეს ზნეობის ნახევრად ველური ხარისხია: არ დაანებოთ ესთეტიკური ხიბლით თავისი გრძნებით შეკვრა და ნუ დააყენებთ მაღლა.

* * *

უკეთუ სხვებზე გადაგებასა და ზრუნვას ორჯერ გავაძლიერებთ, ვიდრე სინამდვილეში, მაშინ შეუძლებელი გახდება ცხოვრება ამქვეყნად.

* * *

გამგედაობა რომ ახლა მევრად იშვიათად გვხვდება, ვიდრე ძველ დროსა და შუასაუკუნეებში – ცხადია, რამეთუ ახალ დროს აღარა სწამს რისამე მოსწავება: ორაკულები, ვარსკვლავები, წინასწარმეტყველება. ადამიანები უუნარონი გახდნენ იმის მიმართ, რომ ასევე სწამდეთ ჩვენ მიერ განსაზღვრული მომავალი, როგორც რომ სწამდათ ძველებს, რომელნიც, ჩვენდა საპირისპიროდ, გაცილებით ნაკლებად სკეპტიკოსნი არიან იმასთან შედარებით, რაც მოსალოდნელია, ვიდრე იმასთან შედარებით, რაიც არის.

* * *

ახლანდელი „ზნეობის მოდის“ ძირითადი დებულებაა: ზნეობრივი საქციელი იმ საქციელის არსია, სხვათა მიმართ სიმპათიიდან რომ გამომდინარეობს...

* * *

ხდება, როცა ადამიანს აქებ-ადიდებენ: „ცარიელი ხასიათიაო!“ მართალია, უკეთუ ის ამჟღავნებს სწორხაზოვან თანამიმდევრობას, უკეთუ ეს თანამიმდევრობა გამოსჭვივის იმის თვალებში! ხოლო უკეთუ ადამიანს აქვს სხარტი, ღრმა გონება, უკეთუ ის თანამიმდევრულია ამ სიტყვის მაღალი, გონივრული მნიშვნელობით, მაყურებელნი ერთბაშად უარყოფენ მასში ხასიათს.

* * *

ადამიანი მუდმივად მიდის ერთსა და იმავე დასკვნასთან და ყოველთვის ეწინააღმდეგება იმას; ადამიანის თვისებაა, რომ არა სწამდეს ის, თუმცა ხანისად შეხება გვიხდება, რათა თავი ვაცნოთ: „ადამიანთა უმრავლესობა ინტელექტუალური სინდისის არმაკმარედ არის...“

* * *

რას ნიშნავს ადამიანისთვის გულკეთილობა, დახვეწილობა და გენიოსობა, უკეთუ ამ სათნოებათა მფლობელია და თავის თავს გრძნობებსა და მსჯელობებში მოდუნების უფლებას აძლევს, უკეთუ უტყუარობის მოკითხვა არ არის იმისთვის არც შინაგანი გატაცება და არც უღრმესი მოთხოვნილება?

* * *

ვნების სუყოველი სახეობა უნდა იყვეს მოფიქრებული, თავის მოძრაობაში ეპოქის წიაღ თვალმიდევნებული; სუყოველი ხალხი, დიდიც და პატარაც, იმ ხალხის მთელი გონება, სუყოველი იმათი შეფასება და საგანთა ახსნა-განმარტება უნდა გამოაშკარავდეს.

* * *

ის კაცი, ვინც განიზრახავს, რომ თავი ზნეობრივ საკითხთა შესწავლას მიუძღვნას, მოღვაწეობის გაუგონარ სივრცეს იპოვის.

* * *

თანამედროვე ადამიანს კეთილშობილების ანტიკური შეფერილობა აკლია, რამეთუ ჩვენს სულში არ არის ანტიკურ მონაზე ცნება.

ტრადიციები

ველურ ხალხთ აქვთ არაერთი წეს-ჩვეულება, რომელთა მიზანია, მგონი, ერთი რამ: რომ ხალხს ჰქონდეს საერთოდ რაიმე წეს-ჩვეულება.

* * *

ძალა წეს-ჩვეულებათა საოცრად სუსტია, ზნეობრიობის გრძნობა კი ისერიგად დახვეწილია და ისე აგზნებული, რომ დარწმუნებულად შეიძლება ფრთაშესხმული გრძნობაო, ვთქვათ.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70, 73, 76, 86, 94

თავისუფალი ადამიანი უზნეოა, რამეთუ ყველაფერში თავის თავზე დამოკიდებულება სწადს და არა ტრადიციებზე.

* * *

ის ადამიანები, ვინც თავისუფლად იქცევა, მევრად უფრორე არასახარბიელო მდგომარეობაში არიან, ვიდრე ისინი, ვინც თავისუფლად აზროვნებს, რამეთუ ადამიანები მევრად მეტად თავიანთი საქციელის გამო იტანჯებიან, ვიდრე აზრთაგან.

* * *

ყოვლის უფრორე ზნეობრივი ადამიანი ის არის, ვისაც ყველაზე მეტად მიაქვს მსხვერპლი ზნე-ჩვეულებათა სასარგებლოდ.

* * *

თავდაჯერილობა გვაქვს არა იმისთვის, რათა ადამიანმა თავის სახეიროდ გამოიყენოს, არამედ იმიტომ, რომ სუყოველი ინდივიდუალური ხეირის საწინააღმდეგოდ. არის ჩვეულება, ტრადიცია და ითხოვს სუყოველმა ცალკეულმა ადამიანმა თავი მსხვერპლად მიიტანოს – ესეგვარია ზნე-ჩვეულებათა ზნეობრიობა.

* * *

„ენდე შენს გრძნობას!“ ოღონდ გრძნობა არც ბოლოა და არც დასაბამი: გრძნობათა მიღმაა მუდამ განსჯა და შეფასება, რომელთაც მემკვიდრეობად ვიღებთ გრძნობათა ფორმით (სიმპათიები, ანტიპათიები).

* * *

ძველად ადამიანი ფიქრობდა, რომ რაიმე საქმის შედეგი უბრალო შენაჯამი რამ კი არა, არამედ მოქმედებაა გარედან აღძრული, სახელდობრივ – ღმერთისგან. გაგონილა უფრორე მეტი ცდომილება! საჭირო იყო ცდილობა საქმეზე, შედეგზე – მეტადრე კი გამოგვეყენებინა სხვადასხვაგვარი საშუალებები და ხერხები!

* * *

უკეთუ ზნე-ჩვეულებანი მემკვიდრეობით გადმოგვეცემა, უკანასკნელი აზრი არ გადმოდის მემკვიდრეობით, რამეთუ მემკვიდრეობით შესაძლებელია მხოლოდ გრძნობის გადმოცემა და არა აზრისა.

* * *

შენი გრძნობის დამორჩილება ნიშნავს, რომ ემორჩილებოდე პაპას, ბებიას და იმათ მშობელთ ბევრად უფრო ძლიერად, ვიდრე საკუთარ მბრძანებელთ: გონებასა და გამოცდილებას.

კეთილი და ბოროტი

როს კეთილი ადამიანები ქადაგებენ ზნეობას, ისინი ზიზღს იწვევენ, როს ზნეობას ქადაგებენ ბოროტი ადამიანები, ისინი იწვევენ შიშს.

* * *

იესო ნაზარეთელს ბოროტნი უყვარდნენ და არა კეთილნი: ის კი არა, იმათი ბრაზმორეული მზერაც წინასწორობას აკარგვინებდა. სუყოველგან, სადაც კი განიკითხავდნენ, იგი განსაკითხავ ადამიანთა წინააღმდეგ გამოდიოდა: აგრერიგად უნდოდა ზნეობის განადგურება.

* * *

„კეთილი და ბოროტი ღვთის ცრურწმენაა“ – თქვა გველმა. ოღონდ თვით გველიც ღვთის ცრურწმენა იყო.

* * *

საჭიროა ბოროტის ისეთივე დაცვა, ვითარცა ტყეს იცავენ. ჭეშმარიტება ის არის, რომ ტყის გამეჩხერებისა და ამოძირკვის შედეგად დედამიწაზე გათბობა მოხდა.

* * *

ბოროტი და დიდი აფექტი აძრწუნებენ ადამიანს და ყველაფერს აყირავებენ, რაც კი რამ მასში ფუტურო და წვრილმანია; ჯერ არს, რომ სუყოველთ ეცადათ, შეეძლო თუ არა რომელსამე ჩვენგანს დიდ კაცად გახდომა.

* * *

საკმარისია ადამიანის მხრიდან ადამიანური სიკეთის საშუალო ზომის ერთი ნაბიჯით გადაკვეთა, რომ იმისმა საქციელმა ეგრევე უნდობლობა გამოიწვიოს. სათნოება, თავის მხრივ, სწორედ „შუაშია“.

* * *

უმშვენიერესი ფერები, სათნოებას რომ გადასდის, იმ ადამიანთა გამოგონილია, რომელთაც ის აკლიათ. მაგალითად, საიდან იღებს საწყისს სიკეთისა და თანალმობის პეწი? იქნებ სულაც არა კეთილთაგან და გულშემატკივართაგან.

* * *

უკეთუ თითოეულს თავისას შეახვედრებდნენ, მაშინ ამქვეყნად სამართლიანობას ისურვებდნენ, მიაღწევდნენ რა ამასთანავე ქაოსს.

* * *

სუყოველი კარგი რამ საგანი, თვით კარგი წიგნიც, მიმართული ცხოვრების წინააღმდეგ, არის ძლიერი საშუალება, რაიც ცხოვრებისთვის აღგვაგზნებს.

* * *

ყოვლის უკეთესია, თუ არ ვიფიქრებთ ორ ერთნაირ ამაღლებულ რამ საგანზე ზომაზე და შუაგულზე, ოდენ მცირე ადამიანთ უწყიან იმათი ძალა და თვისებები...

* * *

პატივს მიაგებდეს ცუდს და როგორღაც ამის სასარგებლოდ გამოთქვამდეს აზრს, უკეთუ ის მოსწონს ადამიანს, რომელსაც არ ესმის, რარიგ შეიძლება რომ ერცხვინებოდეს ამისა, არის დიდსა და მცირეში უზენაესობის ნიშანი.

* * *

თქვენი საქმიანობა თქვენი უდიდესი ცრურწმენაა: ის გაჩვევთ თქვენს ადგილს, თქვენს საზოგადოებას, თქვენს მიდრეკილებებს. თავიანთ საქმიანობაში ბეჯითი ადამიანები, სულით ზარმაცნი, თავიანთი სიღარიბით კმაყოფილნი, ამ კმაყფოილებაზე სავალდებულოობის წინსაფარს იფარებენ – აგრე ცხოვრობთ თქვენ და, ამასთანავე, თვით თქვენვე ამზადებთ თქვენს შვილთაც.

* * *

ადამიანი მხოლოდ მაშინ იგებს, თუ რა ცოტას ნიშნავენ მომხრენი, როცა თავს ანებებს თავის მომხრეთა მომხრეობას.

* * *

ხელოვნების დარგში საქმე ისეა მოწყობილი, რომ მიბაძვა ადიდებს ცუდის პრესტიჟს და კარგის პრესტიჟს ამცირებს.

* * *

ადამიანი, რომელიც ბრძოლაში დარწმუნებული არ არის თავის გამარჯვებაში ან აშკარად სუსტია, მით უფრორე ძლიერად სწადს მოწინააღმდეგის გაკვირვება თავისი ბრძოლის ხერხით.

* * *

ადამიანს უნდა, რომ ისე მოიქცეს, რა არი იმისმა მზერამ მეორეს ტანჯვა აგრძნობინოს და შური აღძრას მასში. აიძულოს მას თავისი უმწეობისა და დამცირების ატანა; ადამიანს სწადს, რომ განაცდევინოს იმას თავისი ბედის სიმწარე და, დაასხამს რა იმის ენას თავის თაფლს, პირდაპირ და ნიშნის მოგებით უცქერის თვალებში ამ მოჩვენებითი, პირსაფერისი წყალობის ჟამს.

* * *

როგორც წესი, კარგი იმიტომ არ მოსწონს ადამიანს, რაკი იმამდე ჯერეთ არ გაზრდილა.

* * *

მართალს ამბობენ სწავლულნი, სუყოველი დროის ადამიანები ფიქრობდნენ, რომ უწყოდნენ, რა არის კეთილი და ბოროტი, რა საქებარია და რა გაკიცხვის ღირსია, მაგრამ სწავლულთა წინასწარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენც ვიქმთ ახლა იმასვე, თითქოსდა ჩვენ ეს უკეთესად ვიცოდეთ, ვიდრე ოდესმე უწყოდნენ ადრე.

* * *

უკეთუ ომი წარუმატებლად მთავრდება, მაშინ ადამიანები ომის დამნაშავის ძიებას იწყებენ; უკეთუ წარმატებით მთავრდება ომი, მაშინ ამტეხის ქებას იწყებენ.

* * *

აუცილებელია, ღატაკთა განდევნა: უსიამოვნოა, როცა ვაძლევთ და არ არის სასიამოვნო, როცა არ ვაძლევთ.

* * *

უხამსი და უმსგავსო იმით განსხვავდება ნორმალურისგან, რომ ურყევად იცავს თავის ხეირს და ამისთვის ეს აზრი ხეირსა და მიზანზე, მევრად ძლიერია ყოვლის უფრორე ძლიერ გატაცებებზე.

* * *

უმაღლესი ბუნების ადამიანის გემოვნება ვრცელდება გამონაკლისზე, იმ საგნებზე, ჩვეულებისამებრ არცვის რომ არ ეხებიან და მოკლებულნი არიან ყოველგვარ სიტკბოებას, უმაღლესი ბუნების ადამიანს თვითღირებულების განსაკუთრებული ზომა ახასიათებს.

(გაგრძელება იქნება)

ფარიკაობა

სანდრო ბაზაძე მსოფლიოში მესამეა

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატში 104 ქვეყნის 949 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათგან 12 სპორტსმენი — საქართველოდან (დელეგაციის ხელმძღვანელი ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი — მერაბ ბაზაძე, მთავარი მწვრთნელი — სერგი ხატიაშვილი, ექიმი — გიორგი მახვილაძე).

მოხმალავე ვაჟთა შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი გახლდათ ევროპის 2022 ჩემპიონატის გამარჯვებული, მსგავსი პირველობების სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი **სანდრო ბაზაძე,** რომელიც, როგორც მსოფლიო რეიტინგით მესამე ადგილზე მყოფი, 16 განთესილს შორის იყო და ჯგუფურ ორთაბრძოლებში არ მონაწილეობდა. მან შეჯიბრება ოცდამეთორმეტედფინალიდან დაიწყო, როგორც მისმა ძმამ - ბექა ბაზაძემ. ამ უკანასკნელმა წარმატებით განვლო საკვალიფიკაციო ეტაპი — ზედიზედ სძლია ექვს მეტოქეს და პირდაპირ 64 საუკეთესოში მოხვდა.

ბექა ბაზაძე — ვასილ ჰუმენი (უკრაინა, 5:0), სანტიაგო მადრიგალი (ესპანეთი, 5:2), რენატო სალიბა (ბრაზილია, 5:1), მაო კოკუბო (იაპონია, 5:2), დავიდ ფრუმგარზტსი (ისრაელი, 5:0), ფრანსისკო ტომას ალიტისი (არგენტინა, 5:3).

პლეი ოფში ბექა ჩენპენ შენთან (ჩინეთი) დამარცხდა — 14:15 და საბოლოოდ 36-ე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, სანდრომ გამოიჩინა თავი: ჯერ გერმანელ ფრედერიკ კინდლერს აჯობა — 15:8, მეორე წრეში უნგრელ სენად გემეშს მოუგო — 15:12, მერე ძმის მარცხისთვის იძია შური — ჩინელი ჩენპენ შენი დაჯაბნა — 15:5. მან მეოთხედფინალში 31 წლის ირანელი ალი პაკდამანი დაამარცხა — 15:12. სანდრო ბაზაძეს ნახევარფინალში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი არონ სილადი ერგო მეტოქედ, აი, ის მადიარი მოხმალავე, რომელთანაც შარშან ტოკიოს ოლიმპიადაზე მსაჯებმა ნახევარფინალი წააგებინეს. ჩვენებურმა მას წლეულს თურქულ ანტალიაში მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატზე სძლია - 15:7. კაიროში ბაზაძე — სილადის ორთაბრძოლა დაძაბულად წარიმართა. ოლიმპიური თამაშების სამი ოქროს და ერთი ბრინჯაოს, მსოფლიოს ჩემპიონატების ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს, ევროპის ჩემპიონატების 3-3 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელმა უნგრელმა ამჯერად 15:11 გაიმარჯვა, მერე ფინალში ფრანგ მაქსიმ პიანფეტის მოუგო — 15:14 და პირადში მსოფლიოს ჩემპიონობა პირველად მოიპოვა. მეორე იყო პიანფეტი, მესამე ადგილებზე კი სანდრო ბაზაძე და რუმინელი ჯულიან ტეოდოსიუ გავიდნენ.

მოხმალავე ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატში კიდევ ორი ქართველი მონაწილეობდა — ნიკოლოზ ჭეიშვილი და ლაშა კუჭუხიძე, რომლებმაც ჯგუფებში, შესაბამისად, სამი და ორი ორთაბრძოლა მოიგეს, პლეი ოფში კი ვერაფერს გახდნენ — საბოლოოდ 76-ე და 94-ე ადგილებს დასჯერდნენ.

76-ე. ნიკოლოზ ჭეიშვილი — ადჰამ მოატაზი (ეგვიპტე, 2:5), მანუელ ბაჰამონდე (ჩილე, 5:2), მოჰამად რაჰბარი (ირანი, 4:5), ჰამზაჰ ალ-მოჰამედავი (ერაყი, 5:2), სებასტიან კიელარი (კოლუმბია, 5:4). **პლეი ოფი** — ბანდარ ალშამლანი (კუვეიტი) — 11:15.

94-ე. ლაშა კუჭუხიძე — დავიდ ენრიკე ნარანიო სამპსონი (ელ-სალვადორი, 5:1), ჩემპენ შენი (ჩინეთი, 4:5), კენტო ჰოშინო (იაპონია, 1:5), საად ალბაქამი (საუდის არაბეთი, 5:2), ჯორჯე დრაგომირი (რუმინეთი, 3:5), არტიომ სარქისიანი (ყაზახეთი, 1:5), **პლეი ოფი** — მანუელ ბაჰამონდე (ჩილე) — 15:12, სენად გემეში (უნგრეთი) — 9:15.

დღეს მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებმება მოხმალავე ქალთა ევროპის 2017 წლის ჩემპიონი **თეოდორა კახიან-მეკლინგი.** მან ჯგუფში ექვსიდან ოთხი პაექრობა მოიგო, პლეი ოფში ყაზახ სპორტსმენს სძლია და 64 საუკეთესოში განაგრძობს პაექრობას — 32 წლის გამოცდილ ესპანელს, FIE-ს რეიტინგით 30-ე ადგილზე მყოფ არასელი ნავაროს შეხვდება.

თეოდორა კახიანი — მეკლინგი — ფრანცისკა ტანზმეისტერი (ავსტრია, 5:2), კატინკა შუგარ ბატაი (უნგრეთი, 2:5), ზეინაბ დაიბეკოვა (უზბეკეთი, 4:5), იი ვინ ლაუ (ჰონგკონგი, 5:2), ანა მიჰაილოვა (ბულგარეთი, 5:2), იასმინ დაჩფუსი (თურქეთი, 5:3), **პლეი ოფი** — კარინა დოსპაი (ყაზახეთი) — 15:10.

20 ივლისი

10:30. ხმალი. კაცები. გუნდური. საკვალიფიკაციო — T8.

12:00. ხმალი. ქალები. თეოდორა კახიანი-მეკლინგი. T64. — ფინალი.

13:00. რაპირა. კაცები. T64 - ფინალი

ტატამზე

მეტსაც ველოდით

უკვე გაუწყეთ, რომ ზაგრების გრან პრი ეთერ ლიპარტელიანის (57) ვერცხლითა და გიორგი სარდალაშვილის (60) ბრინჯაოთი დავიწყეთ.

„ჯვაროსანთა“ მონაგარს მესამე მედალი 81 კილოში მოჭიდავე შარშანდელმა ჩემპიონმა **ტატო გრიგალაშვილმა** შემატა, რომელმაც მესამე ადგილისთვის გამართული ბრძოლა, ისევე როგორც გასულ წელს, ბრაზილიელ გილიერმო შმიდტს მოუგო.

ასევე შედეგიანი გამოდგა ტურნირის დასკვნითი დღე. მეტიც — **ბექა ღვინიაშვილმა** (90) საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ააბიჯა! მან ზედიზედ დაამარცხა ჩეხი დავიდ კლამერტი, ბერძენი თეოდოროს ცელიდისი, ფრანგი ფრანსის დამიე და იაპონელი კენტა ნაგასავა, ფინალში კი ბრაზილიელი რაფაელ მასედო ჯერ ვაზარიზე დააგდო, ხოლო ბოლოს დააიპონა კიდეც.

ხორვატულ ტატამზე ტრიუმფთან ახლოს იყო **ილია სულამანიძეც** (100), თუმცა მასპინძელი, ესტონელი, ყაზახი და პოლონელი მეტოქეების ძლევის შემდეგ მან მძაფრი სატიტულო დუელი დამატებით დროში დათმო ნიდერლანდელ მიხაელ კორელთან.

აღსანიშნავია, რომ **გელა ზაალიშვილმა** (+100) თვით ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლუკაშ კრპალეკი დაჯაბნა, ხოლო ჩვენი ლიდერები ლაშა შავდათუაშვილი (73) და ვაჟა მარგველაშვილი (66) უმედლოდ დარჩნენ.

ოვალური ბურთი

ღირსეულად დავხურეთ

იტალიასთან მოპოვებული ისტორიული გამარჯვების შემდეგ „ბორჯღალოსნებმა“ ივლისის ტესტები ქუთაისში უხერხულ მეტოქესთან — პორტუგალიასთან გადატანილი ტრადიციულად მძიმე ბრძოლითა და კიდევ ერთი წარმატებით დაასრულეს.

ბუნებრივია, „სკუადრა აძურას“ ძლევაი საკვირველიდან გასული ერთი კვირა ძალების სრულფასოვნად აღსადგენად საკმარისი არ აღმოჩნდა, რასაც მესამეხაზელთა ტრიოს — გორგაძის, საღინაძისა და გიორგაძის იძულებითი ცვლილებაც დაემატა, მაგრამ დიდი ძალისხმევით სასურველ შედეგს მაინც მივაღწიეთ.

საქართველო - პორტუგალია 23:14

პირველი ტაიმი 9:6

საქართველო (15:9): ნინიაშვილი, მოდებაძე, თაფლაძე (კვესელაძე), შარიქაძე (კაპიტანი), თოდუა, აბჟანდაძე, აფრასიძე (ლობჟანიძე); (1:8) აბულაძე (გოგიჩაშვილი), ჭყოიძე (ბრეგვაძე), გიგაშვილი (პაპიძე), ჩაჩანიძე, მიქაუტაძე (ჭეიშვილი), მამამთავრიშვილი, ბაბუნაშვილი (შვანგირაძე), ივანიშვილი.

ლელოები: მოდებაძე, ნინიაშვილი; 3 საჯარიმო, 2 გარდასახვა: აბჟანდაძე.

მსაჯი: ადამ ლიალი (ინგლისი).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდის გარემარბმა **სანდრო თოდუამ** კარიერაში მე-100 კეპი მოიხვეჭა, რაც ნაკრების ისტორიაში მეოთხეა.

ლევან მაისაშვილი — საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ყველა მოთამაშეში დიდი პროფესიონალიზმი დავინახე. ისინი მაქსიმალურად მობილიზებულნი შეხვდნენ თამაშს. რამდენიმეს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა და მატჩის წინ არაერთხელ შევცვალე შემადგენლობა, მაგრამ პორტუგალიელებთან შეხვედრის არც ერთ ეტაპზე წაგების შიში არ გვქონია. გუნდმა შეძლო მობილიზება და მოგება“.

მერაბ შარიძაძე — „ბორჯღალოსანთა“ კაპიტანი: არაერთხელ მითქვამს, რომ პორტუგალია სუსტი არავის ეგონოს. ეს მათ რამდენჯერმე დაამტკიცეს და ახლაც ასე მოხდა. საბედნიეროდ, ამჯერად დიდი ძალისხმევის შედეგად მაინც შევძელით მათი დამარცხება“.

მოკლედ

თავისუფალი ჭიდაობა. ტუნისი. სარეიტინგო ტურნირი. **ოქრო** — გენო პეტრიაშვილი (125). მან ორჯერ სძლია ამერიკელ ნიკოლას ზილმერს — ჯერ წრიულ რაუნდში, ხოლო შემდეგ — ფინალში.

ზაგრები. ევროპის 15-წლამდელთა ჩემპიონატი. **ოქრო** — კონსტანტინე პეტრიაშვილი, ლუკა კვატაშიძე. **ბრინჯაო** — გიორგი მაისურაძე, მათე ცინცაძე.

ჩოგბურთი. ბუდაპეშტი. 250 000-იანი ტურნირი. წყვილები. ეკატერინე გორგოძე და ოქსანა კალაშნიკოვა — პირველი ადგილი. მე-4 ნომრად განთესილმა ჩვენმა დუეტმა კორტის მასპინძელთა, ბრაზილიურ-რუმინულ, რეიტინგ-ფავორიტთა გერმანულ-ჩინურ და ფინალში — პოლონურ-ბელგიურ ტანდემებს მოუგო.

ფეხბურთი. იტალია. ნაცშპანის რუპორთა აღვირახსნილ კამპანიას შესანიშნავი თამაშით პასუხობს „ნაპოლის“ ქართველი დებიუტანტი **ხვიჩა კვარაცხელია.**

დიმაროში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა ლუჩანო სპალეტის გუნდმა მეორე წინასაზონო ამხანაგური შეხვედრა სერია — ბ-ს ბინადარ „პერუჯას 4:1 მოუგო და სასტარტო შემადგენლობაში მყოფმა „კვარადონამ“ თავი ამჯერადაც ლამაზი გოლითა და დასამახსოვრებელი ეპიზოდებით გამოიჩინა.

ლუჩანო სპალეტი: „კვარა“ შესანიშნავი ფეხბურთელია. ჩვენ ვრწმუნდებით, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ, როცა მისით გადავწყვიტეთ ინსინიეს შეცვლა. მას მარცხნივაც შეუძლია თამაში და მარჯვნივაც, თან იცის, როგორ დაასრულოს შეტევა“.

წყალში ხტომა. ბულგარეთი. ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი — „ვარნის თასი“. 8 ქვეყნის 80-მდე მონაწილე. საქართველო (**მწვრთნელი** ჭოლა ჭანტურია, **მსაჯი** — სალომე ჯუღელი) 6 მედალი: ალექსანდრე ცხომელიძე, მარიამ შანიძე და გიორგი წულუკიძე — სამივე თითო **„ოქრო“ — „ვერცხლი“** თავიანთ ასაკობრივ კატეგორიებში.

შალვა ნაჭყებია

გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს და საერთაშორისო საინჟინრო და საქართველოს ენერგეტიკული აკადემიების აკადემიკოსი, IEEE (აშშ) და Sigma Xi (აშშ) საზოგადოების წევრი, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი შალვა ნაჭყებია.

შალვა ნაჭყებია დაიბადა 1945 წლის 21 თებერვალს ქ. ცხაკაიაში (სენაკი). 1963 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლა, 1969 წელს კი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტი „ელექტრონული სადგურების“ სპეციალობით და სამუშაოდ დატოვეს ზოგადი და თეორიული ელექტრონიკის კათედრის ასისტენტად. მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1971 წელს სწავლა გააგრძელა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1975 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1975-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და თეორიული ელექტრონიკის კათედრაზე უფროსი მასწავლებლის და დოცენტის თანამდებობებზე. 1989 წლიდან იყო მაგნიტური ტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი. 1998 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 2003 წლიდან ელექტრონული სადგურების, ქსელებისა და სისტემების კათედრის გამგეა, 2007 წლიდან — ელექტროენერგეტიკის, ელექტრონიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

1979-1983 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარეა.

1996 წელს აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2005 წლიდან კი — ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. 2004 წლიდან საქართველოს ენერგეტიკული აკადემიის წევრია.

მისი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებებია: ელექტრომაგნიტური ტექნიკა, თანამედროვე მაგნიტური მასალები, ელექტროტექნიკური მოწყობილობების საიმედოობის ამაღლების პრობლემები თანამედროვე მაგნიტური მასალების ბაზაზე. 1996 წ. აირჩიეს IEEE (აშშ), 2003 წ. — Sigma Xi (აშშ) საზოგადოების წევრად, ბატონი შალვა იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიების ავტორი, მიღებული ჰქონდა საავტორო მოწმობები, იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე.

1995-2007 წწ. იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის უფროსი, აკადემიური საბჭოს წევრი, ორგზის ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის „ენერგეტიკის“ განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონი შალვა მაღალი პროფესიონალიზმით უძღვებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

ბოლო ათწლეულში შალვა ნაჭყებიას და ივანე გორგიძის ინიციატივითა და თაოსნობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მატიანე შეიქმნა და უნივერსიტეტის ისტორიისადმი მიძღვნილი რამდენიმე მონოგრაფია დაიბეჭდა.

ბატონი შალვა გახლდათ მაღალი რანგის მეცნიერი, პროფესიონალი, პედაგოგი და მასზე დაკისრებული მოვალეობის განსაკუთრებული პასუხისმგებლობით შემსრულებელი.

ჩვენი ქვეყნისა და მშობლიური ტექნიკური უნივერსიტეტის საქმისათვის თავდადებული, ჭეშმარიტი მამულიშვილის შალვა ნაჭყებიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენს გულებში.

შალვა ნაჭყებიას გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო ოჯახის, მეგობარ-ნათესავებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოებისათვის.

ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი...

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დემურ გადელია ოჯახით იუწყება საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლის, საუკეთესო პიროვნული თვისებებით გამორჩეული ღირსეული კაცის

შალვა ნაჭყებიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები

გივი აბდუშელიშვილი, ვალერი ასათიანი, ზურაბ ასათიანი, მერაბ ახობაძე, ალიკო გოცირიძე, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, დავით გურგენიძე, თემურ თოფურიძე, ანზორ კვარაცხელია, ომარ კაჭარავა, შოთა კოხრეიძე, ჯემალ კუსალაშვილი, ნაზი კუციავა, როზა ომანაძე, ნიკო ლეკიშვილი, მურთაზ მამისეიშვილი, ავაზ მემანიშვილი, გიორგი სალუძვაძე, გრიგოლ შონია, ზაურ ჩიტიძე, ვაჟა შუბლაძე, ოთარ წეროძე

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ნიჭიერებით, წესიერებით, შრომისმოყვარეობით, წესრიგიანობით, გულითადობით, მეგობრობით გამორჩეული პიროვნების, ტექნიკური უნივერსიტეტის (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) მემატიანის

შალვა ნაჭყებიას

გარდაცვალებას და თანავუგრძნობთ მის ძვირფას ოჯახს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

დალი როგავა, ბადრი, თემურ, გიორგი ბარკალაიები ოჯახებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის, სენაკის ღირსეული შვილის

შალვა ნაჭყებიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი

40 დღე გავიდა ბატონ გოჩა ჩოგოვაძის გარდაცვალებიდან



2022 წლის 12 ივნისს გარდაიცვალა უთვალსაჩინოესი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი, გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე და შემწე, პროფესორი **გოჩა ჩოგოვაძე.**

გოჩა ჩოგოვაძე იმ მოღვაწეებს განეკუთვნება, რომელთაც განგება გამორჩეული მისიის შესრულებას არგუნებს ქვეყნისთვის არცთუ მარტივსა და რთულ, ფასეულობათა გადაფასების დროჟამულობაში. ეს დრო საბჭოთა ეპოქის დაისისა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებს მოიცავს. უკვე ეს გარემოება ანიჭებს განსაკუთრებულობას გოჩა ჩოგოვაძის სახელმწოფოებრივსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ფასეულობათა ცვლა საერთოდ დიდი გამოცდის წინაშე აყენებს ადამიანს, მით უფრო მოღვაწეს, რადგან სხვა განზომილებაში აღიქმება მისი ყოველი სიტყვა და ყოველი ნაბიჯი. სწორედ ასეთ დროს მოუწია ქვეყნის მსახურება გოჩა ჩოგოვაძეს. მას სიახლის შეგრძნების ნიჭმა შეაძლებინა რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე ღირსეული სვლა. ეს გზა კი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო მაშინ, როდესაც სრულიად ახალგაზრდამ მომავლის მეცნიერების მიმართულების — მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა დააარსა და ჩაუდგა სათავეში, შემდეგ ევროპული მერიდიანები დალაშქრა, ამას მოჰყვა მეცნიერული კვლევების სრულქმნის წლები გერმანიაში.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებს გოჩა ჩოგოვაძე საქართველოში მეცნიერებისა და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოში შეხვდა, როდესაც უკვე იგრძნობოდა საბჭოთა სამყაროს რყევა. ამავე დროს დაბრუნდა იგი მშობლიურ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, როგორც მისი რექტორი და რაც მთავარია, როგორც მისი პირველი არჩეული რექტორი. გოჩა ჩოგოვაძემ წარუშლელი კვალი დააჩნია ამ უმაღლესი საინჟინრო განათლების კერას — პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსდა.

შემდეგ გ. ჩოგოვაძის წინაშე ქვეყნის მსახურების კიდევ უფრო დიდი ასპარეზი გადაიშალა, იგი დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთსა და ესპანეთში, სადაც ნაყოფიერად იღვაწა და არაერთი საეროვნო საქმე დაგვირგვინა.

ასევე დიდი მნიშვნელობისაა გ. ჩოგოვაძის მოღვაწეობა იუნესკოში. სხვადასხვა დროს იგი იყო განყოფილების ხელმძღვანელი, იუნესკოს გენერალური დირექტორის მრჩეველი. გ. ჩოგოვაძის ძალისხმევით ქართული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, არაერთ ძეგლს მიენიჭა მატერიალური თუ არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი. იგი სიცოცხლის ბოლო წლებშიც აგრძელებდა ნაყოფიერ თანამშრომლობას მსოფლიოში ამ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან.

დიპლომატიური სამსახურის ვადის ამოწურვის შემდეგ გოჩა ჩოგოვაძეს არაერთი შეთავაზება ჰქონდა უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელის თანამდებობის დაკავებისა, მაგრამ მან არ ისურვა სხვა ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მსახურება, თავისი სამშობლო არჩია, რადგან იგი სულით ტერფამდე გახლდათ ქართველი, უსაზღვროდ შეყვარებული საქართველოსა და ქართველობაზე; — ხშირად ამბობდა: ასჯერ რომ მეწეროს დაბადება, ასჯერვე ქართველად დაბადებას ვისურვებდიო. წლებმა კიდევ უფრო გაუმძაფრა ქართულის სიყვარულის გრძნობა და აღტაცება, რადგან წლების განმავლობაში უცხოეთში მყოფმა შორიდან უფრო ცხადად დაინახა სამშობლოსა და მისი ყოფითი კულტურის ხიბლი და მშვენიერება.

გოჩა ჩოგოვაძის ღვაწლი, დამსახურება ქვეყნის წინაშე აღნიშნულია უცხო სახელმწიფოებისა და ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოებით. იგი გახლდათ არჩეული სხვადასხვა დარგობრივი აკადემიების წევრად, იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი. გოჩა ჩოგოვაძის მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების საფუძველზე ახალგაზრდების მრავალი თაობა აღიზარდა.

უფალმა გაანათლოს ბატონ გოჩა ჩოგოვაძის სული!

მეგობრები

მშენებელი, პოეტი, მთარგმნელი, უიშვიათესი მეგობარი



ალეკო (ალკაზარ) კაკულია – 85

მას წელს 85 წელი შეუსრულდებოდა. მთელი ცხოვრების მანძილზე სიყვარულით და თავდადებით ემსახურებოდა თავის სამშობლოს.

ალეკო კაკულია დაიბადა 1937 წლის 29 ივნისს. 1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, გაიარა ყველა თანამდებობრივი საფეხური რიგითი ინჟინრიდან საქართველოს სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემდე. წლების მანძილზე შრომობდა საქართველოს აგროსექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექნისა და გაფართოებისთვის. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. თავისი პროფესიული საქმიანობის პარალელურად ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც. ხელმძღვანელობდა ჩეხეთ-საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის საზოგადოებას. ფლობდა ჩეხურ ენას, თარგმნიდა ჩეხურიდან წიგნებს და სტატიებს. იყო ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივარი. მეგობრობდა როგორც ფეხბურთელებთან ისე ფეხბურთის ქომაგებთან. მან დააფუძნა ქართული ფეხბურთის განვითარებისა და აღორძინების ფონდი და მისი პრეზიდენტიც გახლდათ.

დიდია მისი წვლილი საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის შექმნაში. მოიძია მრავალი ღვაწლმოსილი და დამსახურებული არქიტექტორისა და მშენებლის ბიოგრაფიული მასალა და შეიტანა ენციკლოპედიაში. სამწუხაროა, რომ თვითონ ვერ მოესწრო მის გამოცემას. სულ რამდენიმე თვე დააკლდა, რომ ეხილა მისი შემოქმედების ნაყოფი.

ალეკო კაკულია წერდა შესანიშნავ ლექსებს. მისი დის, ცნობილი მომღერლის ეთერ კაკულიას რეპერტუარში მრავალი სიმღერა ალეკოს ლექსებზე იყო შექმნილი.

2020 წელს საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდმა გამოსცა ალეკო კაკულიას ლექსების კრებული სათაურით „საქართველოვ, ჩემო“, ამით ვეცადეთ, კიდევ ერთხელ მიგვეგო პატივი შესანიშნავი პიროვნებისა და მეგობრისათვის. ალეკო კაკულიას ხსოვნა მუდამ იქნება მისი მეგობრებისა და ქართველი საზოგადოების გულში.

მერაბ ნიკოლაიშვილი, ვაჟა ნადირაშვილი, ანზორ ჩოგოვაძე, დავით დოღონაძე, გოგი ავსაჯანიშვილი, როლანდ მუძაუტაძე, გიორგი სალუქვაძე, ოთარ ჭითანავა, ომარბეი ძიაპშიპა, ირაკლი კიზირია, რევაზ მახვილაძე.

მკვლელობა ჭიათურაში... უნიჭო სპექტაკლის თანხლებით...

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების და ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული ვ.ც. დაკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს. მას ბრალად განზრახ მკვლელობა და ცეცხლის წაკიდებით ნივთის განადგურება ედება.

უწყების ცნობით, დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 15 ივლისს, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ვალთან დაკავშირებით წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, ნაცნობს — 1982 წელს დაბადებულ ბ.ა.-ს, რომელიც თავის კუთვნილ ავტომანქანაში იმყოფებოდა, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავის არეში ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ვ.ც.-მ, კვალის დაფარვის მიზნით, ავტოსაგზაო შემთხვევის ინსცენირება მოაწყო. კერძოდ, გარდაცვლილი მძღოლი მგზავრის სავარძელზე გადაიყვანა, მისი ავტომანქანის საჭესთან თავად დაჯდა, შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ავტომობილი ხევში გადააგდო, შემდეგ სალონში ცეცხლი გააჩინა და მიიმალა.

თინათინ ბერძენიშვილი: ჩვენთვის მთავარია, შევქმნათ ხარისხიანი ქართული პროდუქტი!

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მესტიის საერთაშორისო ფილმების ფესტივალის ფიჩინგ ფორუმის საუკეთესო ქალი რეჟისორისთვის სპეციალური პრიზი დააწესა, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორს ანა კვიჭიძეს გადაეცა.

ასევე, ფესტივალის ჟიურის რჩეული ფილმი „გუშაგები“ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამონაწილეობით შეიქმნა და მისი პრემიერა საქართველოს პირველ არხზე შედგა. ფესტივალთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა თინათინ ბერძენიშვილმა პირველი არხის გადაცემა „ახალ დღეში“ ისაუბრა. თინათინ ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ მაუწყებელი არის იქ, სადაც არის ქართული კინო. რაც შეეხება სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალს, მასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰქონდა საკუთარი პირობები — პრიზი დაწესებულიყო ქართველი ქალი რეჟისორისთვის, ვინაიდან ქალი პროფესიონალების მხარდაჭერა მაუწყებლისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი.

„საქართველოში დაბანდებული ინვესტიცია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანია. ვიმოქმედეთ ჩვენი სტრატეგიით, ჩვენთვის მთავარია, ქართული პროდუქტი შევქმნათ და გვაქვს პრეტენზია, რომ შევქმნათ მხოლოდ ხარისხიანი. ნაყიდ პროდუქციას გვირჩევნია, იყოს ქართული და ეროვნული. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ ჩვენთვის გამარჯვებული უნდა ყოფილიყო ანი კვიჭიძე, რათა ის ინვესტიცია, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ შემდგომში, საქართველოში დარჩეს და ქართველ პროფესიონალებს მოხმარდეს“, — განაცხადა თინათინ ბერძენიშვილმა.

ბორჯომის „კავალერიის შენობის“ მუზეუმად ადაპტაციის პროექტი დასრულდა...

ბორჯომის „კავალერიის შენობის“ რესტავრაცია-რეაბილიტაციისა და მუზეუმად ადაპტაციის პროექტი დასრულდა. მე-19 საუკუნეში აშენებულ შენობას რესტავრაცია ავთენტურობის სრული დაცვით ჩაუტარდა. შენობა შეიძენს ახალ ფუნქციას, რითიც თამამად უპასუხებს საზოგადოებრივად საინტერესო სამუზეუმო-საგამოფენო სივრცის მოთხოვნებს, ხოლო ბორჯომელებისა და დამსვენებლებისთვის გაჩნდება კიდევ ერთი საინტერესო ახალი მიზიდულობის ცენტრი, — ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ ბორჯომში „კავალერიის შენობის“ დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ბორჯომში, კოსტავას სახელობის პარკში მდებარე, ეგრეთ წოდებული კავალერიის შენობის რესტავრაციისა და მუზეუმად ადაპტაციის პროექტი მოიცავდა შენობის სრული რეაბილიტაციისა და სამუზეუმო სივრცედ ადაპტაციის სამუშაოებს. აღდგენილ შენობაში მოეწყო საექსპოზიციო დარბაზები, რომელშიც განთავსდება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის ფონდში დაცული ექსპონატების ნაწილი.

შემზარავი მკვლელობა ფონიჭალაში

თბილისში, ფონიჭალაში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით შვილმა დედას დანით მძიმე ჭრილობები მიაყენა და მოკლა მასთან ერთად მყოფი ერთი ადამიანი.

დედის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 22 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8348; ევრო - 2.8782
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3955;
100 რუბლი - 4.9712; თურქული ლირა - 0.1636;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6739;
1000 სომხური დრამი - 6.8267.

ამინდი 20 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +37
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +32
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +25
თბილისი: ღამე +20, დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge